http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

29 ივნისი
პარასკევი
N16 (2061)
2007 წელი

გაზეთი გამოდის
თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი | გამოდის 1927 წლიდან | ფასი 30 თეთრი

როგორც ნესტან-დარეჯანია ქაჯეთის ციხიდან გამოსახსნელი, ისე ცხინვალის მოსახლეობაა კოკოითისგან დასახსნელი

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე თამარაშენში

ნინო კაკულია

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების ტაქტიკა კიდევ უფრო მობილური ხდება. თავსმოხვეული ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში პოლიტიკური ნაბიჯების პარალელურად, გააქტიურდა სახალხო დიპლომატია, რომლის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობაც იმაზე გაცილებით ძლიერია, ვიდრე ეს ქართველი და ოსი ხალხის საერთო მოწინააღმდეგეს შეიძლება ეგონოს. ისტორიული ტრადიციებისა და მეხსიერების განახლებაში საქართველოს ინტელექტუალურ ნაწილს განსაკუთრებული როლი უკავია. გასულ კვირას, პირველად ისტორიაში, ევროპარლამენტის ტრიბუნიდან სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა მსოფლიოს გასაგონად გაახმიანა ოსი ხალხის ნება საქართველოსთან ერთად ევროპისკენ სწრაფვის თაობაზე. „საქართველო ბრუნდება ევროპაში, რომელიც იყო მისი ბუნებრივი გარემო. საქართველოსთან ერთად ევროპაში უნდა დაბრუნდეს ჩემი კუთხე, სამხრეთ ოსეთიც. ამ კონფლიქტის მოწესრიგების გასაღები სწორედ ევროპაშია. იყავით აქტიურნი, რათა გადავარჩინოთ ჩვენი შვილების მომავალი. კონფლიქტის მოწესრიგების ერთადერთი გამოსავალი ქართველ და ოს ხალხს შორის პირდაპირი დიალოგია,“ — განაცხადა სანაკოევმა ევროპელი პოლიტიკოსების წინაშე და დესტრუქციული ძალების გასანეიტრალებლად საერთაშორისო თანამეგობრობას მხარდაჭერისკენ მოუწოდა. მისი თქმით, დღეს კონფლიქტის ზონაში მუდმივი შიშისა და სიძულვილის არსებობისთვის პროპაგანდისტული მანქანა მუშაობს, ოსი ხალხი კი იმ რეჟიმის მსხვერპლად იქცა, რომელიც რუსეთის დიქტატით ცხინვალში არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული.

ევროპარლამენტის ტრიბუნიდან ოსი ხალხის ნების გახმოვანებამდე დიმიტრი სანაკოევმა თანამემამულეებთან ერთად თამარაშენში თბილისელ სტუმრებს უმასპინძლა. ქართველებმა და ოსებმა ერთად წაიკითხეს „ვეფხისტყაოსანი“ და ამით ერომანეთს თითქის ყველაფერი უთხრეს.

17 ივნისს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ თამარაშენში, ივანე მაჩაბელის სახლმუზეუმში „ვეფხისტყაოსნის“ მარათონული კითხვის დღე გაიმართა. ეს იდეა უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორს ნუგზარ წიკლაურს ეკუთვნის. ღონისძიების ორგანიზატორები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გამომცემლობა „ლიტერა“ და მწერალი დათო ტურაშვილი იყვნენ.

მე-4 გვერდზე

უნივერსიტეტში, სავარაუდოდ, შემოდგომაზე ქართულ-ოსური ურთიერთობის ინსტიტუტი გაიხსნება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სავარაუდოდ, შემოდგომაზე ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ინსტიტუტები გაიხსნება. ამის შესახებ უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ თამარაშენში „ვეფხისტყაოსნის“ მარათონული კითხვის დღეს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელთან, დიმიტრი სანაკოევთან საუბრისას განაცხადა. ქართულ-ოსური ურთიერთობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების ინიციატივა რექტორს ეკუთვნის. გიორგი ხუბუამ იმედი გამოთქვა, რომ დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელმაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მხარდაჭერა აღუთქვა, ქართულ-ოსური ურთიერთობის ინსტიტუტის ფორმირების პროცესში აქტიურად ჩაერთვება.

„ქართულ-ოსური ურთიერთობის ინსტიტუტის გახსნა ძალიან კარგი ღონისძიება იქნება არა მარტო წმინდა აკადემიური, მეცნიერული თუ კულტურული თვალსაზრისით, არამედ დარწმუნებული ვარ, რომ მას ქართულ-ოსური ურთიერთობების დათბობის პროცესში აქტიური მუშაობის სურვილიც ექნება“, — აღნიშნა რექტორმა. მისი თქმით, ოსური კულტურის განვითარების თვალსაზრისით უნივერსიტეტს საკმარისი რესურსები აქვს. უნივერსიტეტში არიან ოსური ენისა და ოსური კულტურის სერიოზული მკვლევარები. „გვინდა მოვაწყოთ ოფისი, სადაც წარმოვაჩენთ ოსეთის ისტორიას, კულტურას, ოსურ თქმულებებს... დარწმუნებული ვარ, ამ პროცესში ჩვენ გვექნება ცხინვალის უნივერსიტეტის აქტიური მხარდაჭერა“, — იმედი გამოთქვა რექტორმა. როგორც გიორგი ხუბუამ აღნიშნა, ქართულ-ოსური ურთიერთობის ინსტიტუტის სახით შეიქმნება ერთგვარი ინტელექტუალური ცენტრი, სადაც რამდენიმე სერიოზული გამოცემის პრეზენტაცია მოეწყობა, შედგება საინტერესო შეხვედრები ოსური ინტელიგენციის, კულტურის, მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. ამას ექნება არა სპონტანური, არამედ სისტემატური ხასიათი. „ოსურმა მხარემ უნდა დაინახოს, რომ ქართველები ოსური კულტურისა და მეცნიერების განვითარებით დაინტერესებულნი არიან. მათ, ამ კუთხით, შიშის საფუძველი არ აქვთ. ჩვენ არ მივისწრაფვით ოსური კულტურის ასიმილაციისაკენ, პირიქით, ჩვენ ოსური მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა გვინდა. ამ მიზნით, ასე ვთქვათ, „აგრესიული“ პროპაგანდის პროცესშიც ჩავერთვებით“, — განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

ანონსი

ახალი წესდების დამტკიცებით უნივერსიტეტის ავტონომიურობაზე მითქმა-მოთქმას, ალბათ, წერტილი დაესმება

ÌÄ-3 ÂÅ.

მეორეხარისხოვანი „სხვაგან სამსახური“ უნდა იყოს და არა თსუ-ში საქმიანობა

რა პრობლემები გამოიკვეთა მიმდინარე სასწავლო წელს

ÌÄ-3, 7 ÂÅ.

არ შეიძლება, ჩვენი ნებისმიერი აქტივობა მხოლოდ პოლიტიკურ ინტერესებს მიაწერონ

სტუდენტური თვითმმართველობა ერთი წლისაა

ÌÄ-5 ÂÅ.

თსუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია 15 ივლისისთვის გახდება ცნობილი

ÌÄ-2 ÂÅ.

სტუდენტებმა სარეგისტრაციო ვადები ზუსტად უნდა დაიცვან

ÌÄ-2 ÂÅ.

ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი...

პროგრამა – „საზაფხულო სამუშაოები სტუდენტებისთვის – 2007“

ÌÄ-11 ÂÅ.

თსუ–ში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია 15 ივლისისთვის გახდება ცნობილი

ხათუნა ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 15 ივლისიდან თავისუფალი ადგილების რაოდენობას განსაზღვრავს და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს სასურველ სპეციალობებზე სწავლის გაგრძელების პირობებს შესთავაზებს.

როგორც ცნობილია, სტუდენტთა მობილობა, ანუ სტუდენტის ერთი სასწავლებლიდან მეორე სასწავლებელში გადასვლა განათლების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით ხორციელდება და სასწავლებელში ვაკანსიების განსაზღვრასაც შესაბამისი კანონი არეგულირებს.

როგორც თსუ სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა **მერაბ სვანაძემ** ჩვენთან საუბარში განაცხადა, სასწავლო წლის დასრულებამდე თავისუფალი ადგილების რაოდენობის განსაზღვრა ვერ მოხერხდება, რადგან განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ვაკანსიებს უნივერსიტეტში რიცხული სტუდენტების მაქსიმალური კონტინგენტისა და მეორე სემესტრის დასრულების შემდეგ დაწესებულებაში რიცხული სტუდენტების რაოდენობის გამოკლების საფუძველზე დაადგენს, ამის შემდეგ სასწავლებელი მიღებული ვაკანსიების რაოდენობას უკვე ოფიციალურად გამოაცხადებს.

„უნივერსიტეტში 2006– 2007 სასწავლო წელი 14 ივლისს დასრულდება, 15 ივლისს კი ცნობილი გახდება ვაკანსიების რაოდენობა. წინასწარ ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენი სტუდენტი აპირებს სასწავლებლის დასრულებას, რადგან სტუდენტების გარკვეულმა რაოდენობამ სხვადასხვა მიზეზის გამო, შესაძლოა, ეს ვერ მოახერხოს“, – აღნიშნა მერაბ სვანაძემ.

სხვა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად უნივერსიტეტში მობილობის გამარტივებული წესი 2007 წლის 16 თებერვლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის N127 ბრძანებაში „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ შეტანილი ცვლილების შედეგად მოქმედებს.

გადაყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ ხორციელდება: სასწავლო წლის 1 ოქტომბრამდე, ან მეორე სემესტრის დაწყებამდე. ეს წესი საქართველოს მოქალაქეებზე ვრცელდება. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ან მოქალაქეობის არმქონე პირები კი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შეიძლება ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წლის ნებისმიერ დროს.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ადგენს ვაკანტურ ადგილებს და მათ ათვისებაზე ახორციელებს კონტროლს. გადაყვანის წესით ჩარიცხულთათვის ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია განათლების სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისა და უმაღლესი სასწავლებლების ვებგვერდებზე განთავსდება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ადგილებზე ჩარიცხვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილები დარეგისტრირებულია და გამოქვეყნებულია განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ.

ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში, სასწავლებლის შეცვლის მსურველი სტუდენტი განცხადებით მიმართავს მიმღები უმაღლესი სასწავლებლის რექტორს.

როგორც მერაბ სვანაძე განმარტავს, უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა რაოდენობა ხშირად გაცილებით სჭარბობს ვაკანტური ადგილების რაოდენობას, რის გამოც აუცილებელი ხდება მიმღები ფაკულტეტის მიერ წერითი გამოცდის (ან გამოცდების) ჩატარება. ასევე დგინდება მიმღები უმაღლესი დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამასთან სტუდენტის მიერ განვლილი სასწავლო კურსების შესაბამისობა. დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, დოკუმენტაციას ექსპერტი გადაამოწმებს და ფაკულტეტის მიერ შესწავლილი საგნების აღიარებისა და დადებითი საგამოცდო შეფასებების საფუძველზე შესაბამის დასკვნას გააკეთებს. აღნიშნული მასალა ექსპერტიზისათვის გადაეგზავნება განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს. მისი მხრიდან დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტი სასურველ უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხება. სტუდენტს სახელმწიფო გრანტი სხვა სასწავლებელშიც უნარჩუნდება.

ივლისში, ვაკანსიების რაოდენობის დაზუსტების შემდეგ, სტუდენტთა საბუთების მიღება დაიწყება და შესარჩევი გამოცდები თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკით გათვალისწინებული პროგრამით ჩატარდება.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების სტუდენტების ბედს, მომავალი სასწავლო წლიდან მობილობის წესით შესაბამის ფაკულტეტებზე მათი გადანაწილება მას შემდეგ დაიწყება, რაც განათლების სამინისტრო ფილიალების რეორგანიზაციის პროექტს განიხილავს და მთავრობის სხდომაზე წარადგენს.

ამ დროისთვის საქართველოში თსუ-ის რვა ფილიალი ფუნქციონირებს, სადაც 11 832 სტუდენტი სწავლობს. არ არის გამორიცხული, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ფილიალები საერთოდაც არ გაუქმდეს და უნივერსიტეტს ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ღონისძიებების გატარება აღარ დასჭირდეს.

სტუდენტებმა სარეგისტრაციო ვადები ზუსტად უნდა დაიცვან

ხათუნა ხატიაშვილი

როგორ წარიმართება სტუდენტთა რეგისტრაციის პროცესი ახალი სასწავლო წლიდან? გამარტივდა თუ არა პროცედურა სტუდენტების სასარგებლოდ? – ეს ის კითხვებია, რაც, პირველ რიგში, აინტერესებთ სტუდენტებს, რომელთაც გასულ წელს ამ პროცედურამ გარკვეული პრობლემები შეუქმნათ.

შარშან რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით უნივერსიტეტში, ისე როგორც სხვა აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, სტუდენტთა რეგისტრაცია პირველად ჩატარდა და ამ სიახლემ სასწავლო პროცესი, გარკვეულწილად, შეაფერხა, თუმცა როგორც თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ სვანაძე აცხადებს, მსგავსი პრობლემები ახალი სასწავლო წლიდან მოსალოდნელი არ არის. „რეგისტრაცია შარშან პირველად ჩატარდა და სტუდენტებისთვის ეს სიახლე იყო. ისინი უნივერსიტეტში სწავლის დაწყების დღეს – 1 ოქტომბერს, ან რამდენიმე დღით ადრე გამოცხადდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტების რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად მზად იყო, 20 ათასი სტუდენტის ერთდროულად მომსახურება რთული აღმოჩნდა. ახლა სტუდენტებმა უკვე იციან, რა არის რეგისტრაცია. ისინი, ასევე, ინფორმირებული არიან, რომ პროცედურა 1 აგვისტოდან დაიწყება და, შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ სტუდენტები სარეგისტრაციო ვადებში ზუსტად ჩაეტევიან. ფაკულტეტების დეკანების მოვალეობის შემსრულებლებს აკადემიური საბჭოს დადგენილების მოთხოვნების უზრუნველყოფა უკვე დაევალათ, რაც რეგისტრაციის ვადებთან დაკავშირებით სტუდენტების სათანადო გაფრთხილებასაც ითვალისწინებს“, – აღნიშნა მერაბ სვანაძემ.

19 ივნისს თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო პროცესის შესახებ დადგენილება მიიღო, რომლის თანახმადაც სასწავლო პროცესი 1 ოქტომბერს განახლდება.

დადგენილებაში განსაზღვრული მოთხოვნების ნაწილი უნივერსიტეტის სტუდენტთა რეგისტრაციის წესებს ეხება. კერძოდ, 2007-2008 სასწავლო წლის 1 სემესტრში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით, ბაკალავრიატის სტუდენტებმა ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნდა გაიაროს 2007 წლის 1 აგვისტოდან 22 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია – 3 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით. მეორე სემესტრში კი, ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნდა გაიაროს 2008 წლის 11-იდან 23 თებერვლის ჩათვლით, ხოლო აკადემიური – 11-დან 26 თებერვლის ჩათვლით. სტუდენტებს, რომლებიც დადგენილ ვადებში რეგისტრაციას არ გაივლიან, სტუდენტის სტატუსი შეუწყდებათ. ასევე შეუწყდებათ სტუდენტის სტატუსი მათ, ვინც არასაპატიო მიზეზით ზედიზედ სამ სემესტრში არ დარეგისტრირდება. სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხიც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგულირდება.

როგორც ცნობილია, რეგისტრაციის მიზანია, უნივერსიტეტმა ყველა სემესტრში ზუსტად აღრიცხოს სტუდენტთა კონტინგენტი. უნივერსიტეტი ამ რაოდენობის მიხედვით თვლის თავის ფინანსურ შემოსავლებსა და ეკონომიკურ ხარჯებს, განსაზღვრავს ბიბლიოთეკის მომსახურების წესს, შესაძლო შეღავათებს და სხვა.

ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის, ანუ სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ, სტუდენტს უფლება ეძლევა გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია, სურვილის მიხედვით აირჩიოს უნივერსიტეტის ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული საგნები და ჩაერთოს სასწავლო პროცესში.

მერაბ სვანაძე განმარტავს, რომ სტუდენტის მხრიდან რეგისტრაციის გაუვლელობის მიზეზი შეიძლება იყოს ფინანსური პრობლემა, საზღვარგარეთ გასვლა, ოჯახური პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცედურა სტუდენტებისთვის წელს გამარტივებულია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა, ანუ სწავლის საფასურის გადახდა თბილისში ჩამოსვლის გარეშეც, ადგილმდებარეობის მიხედვით „თი ბი სი“ ბანკისა და „რესპუბლიკა“ ბანკის ნებისმიერ ფილიალებში შეეძლებათ.

ახალი გადაწყვეტილება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სარეგისტრაციო ვადების დარღვევის ისეთ შემთხვევებსაც დაარეგულირებს, რასაც სტუდენტის სტატუსის გაუქმება შეიძლება მოყვეს. „უნივერსიტეტში ყოფილა შემთხვევები, როცა სტუდენტი ორი-სამი სემესტრის განმავლობაში სასწავლებელში არ გამოჩენილა, სწავლის პროცესში მონაწილეობა არ მიუღია და ამის მიუხედავად, ის კვლავ სტუდენტად ირიცხებოდა. ახალი სასწავლო წლიდან ასეთი შემთხვევების დაშვება გამორიცხული იქნება“, – აღნიშნა მან.

ეროვნული გამოცდების ცენტრის მონაცემებით, მოახლოებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად და უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად წელს 39 000 აბიტურიენტი ემზადება. უნივერსიტეტი კი მხოლოდ 2 984 პირველკურსელის მისაღებად არის მზად.

მერაბ სვანაძის თქმით, უნივერსიტეტში მისაღებ აბიტურიენტთა რაოდენობა შარშანდელთან შედარებით დიდად არ განსხვავდება, თუმცა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი წელს საგრძნობლად გაიზარდა, რაც, თავისთავად, კონკურსზეც აისახება. მისი ინფორმაციით, უნივერსიტეტში არის ფაკულტეტები, სადაც ერთ ადგილზე ათი აბიტურიენტი აცხადებს პრეტენზიას.

სტუდენტთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული ახალი წესები იმ პირველკურსელებზეც გავრცელდება, ვინც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოპოვებული შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხულად გამოცხადდება. სექტემბრის დასაწყისში განათლების ეროვნული ცენტრი უნივერსიტეტში ჩარიცხულთა სიებს გამოაქვეყნებს და პირველკურსელებიც რეგისტრაციას, დანარჩენი სტუდენტების მსგავსად, შესაბამის ვადებში გაივლიან.

„რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხი ტექნიკურად იმდენად კარგად არის მოწესრიგებული, რომ უნივერსიტეტში ჩარიცხულებს სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადახდის შემდეგ, შეუძლიათ სასწავლო საგნები ინტერნეტით აირჩიონ და 1 ოქტომბერს შეუდგნენ სწავლას. დადგენილი ვადების ამოწურვის შემდეგ სტუდენტის რეგისტრაციის ბაზა დაიხურება და რეგისტრაციის გავლის საშუალება აღარავის მიეცემა“, – აღნიშნა მერაბ სვანაძემ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

დადგენილება N27

2007– 2008 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო პროცესის დარეგულირების შესახებ

18.06.2007

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატში სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის მიზნით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2007 2008 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) 2007-2008 სასწავლო წელი დაიწყოს 2007 წლის 1 ოქტომბერს; ბ) სააუდიტორიო მეცადინეობები დამთავრდეს 2008 წლის 18 იანვარს; გ) 2008 წლის 1 იანვრიდან 7 იანვრის ჩათვლით გამოცხადდეს საშობაო არდადეგები; დ) ზამთრის საგამოცდო სესია ჩატარდეს 2008 წლის 21 იანვრიდან 9 თებერვლის ჩათვლით; ე) სემესტრებს შორის არდადეგები გამოცხადდეს 2008 წლის 10 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით; ვ) 2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაიწყოს 2008 წლის 3 მარტს და დამთავრდეს 14 ივნისს; ზ) ზაფხულის საგამოცდო სესია ჩატარდეს 2008 წლის 16 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით; თ) სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს ყოველდღე კვირის გარდა. ლექციები დაიწყოს 8 საათსა და 30 წუთზე; ი) აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წთ-ით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი – 10 წთ-ით.

2. 2007– 2008 სასწავლო წლის I სემესტრში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით ბაკალავრიატის სტუდენტებმა ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარონ 2007 წლის 1 აგვისტოდან 22 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია – 3 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით.

3. 2007–2008 სასწავლო წლის II სემესტრში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით ბაკალავრიატის სტუდენტებმა ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარონ 2008 წლის 11 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია – 11 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით.

4. სტუდენტებს, რომლებიც ამ ბრძანების მეორე და მესამე პუნქტით დადგენილ ვადებში არ გაივლიან რეგისტრაციას, შეუწერდეთ სტუდენტის სტატუსი.

5. სტუდენტს, რომელსაც ზედიზედ 3 სემესტრში არასაპატიო მიზეზით არ გაუვლიათ რეგისტრაცია, შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი წესრიგდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. დაეკალოთ ფაკულტეტების დეკანების მოვალეობის შემსრულებლებს (რ. ბოჭორიშვილი, დ. თვალთვაძე, ი. სალუქვაძე, ჯ. ჯანჯღავა, დ. კერესელიძე, ა. ცისკარიძე) დაიცვან ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები და უზრუნველყონ ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის რეგისტრაციის ვადების ინდივიდუალურად გაცნობა.

7. დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

8. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

გიორგი ხუბუა
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

დადგენილება N28

სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების შესახებ

18.06.2007

სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენა და დამტკიცება უნდა მოხდეს შემდეგი პროცედურების დაცვით:

1. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ-ს სრული ან ასოცირებული პროფესორი, ან მოწვეული, შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

2. სამაგისტრო პროგრამა განიხილება ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, მიმართულება და ა. შ.), ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის (მოწვეული პედაგოგების) სხდომაზე, ხოლო პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას სამაგისტრო პროგრამის მომზადების ინსტრუქციასთან, ხოლო ამ პროცესს კოორდინირებას უწევს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სადაო საკითხების წყვეტს აკადემიური საბჭო. ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

4. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და მას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

5. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამები გადაეცემა თსუ საინფორმაციო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას თსუ ვებ-გვერდზე.

6. თსუ-ში პროგრამული აკრედიტაციის განხორციელებამდე, თვითშეფასების მომზადების პროცესში სისტემატურად უნდა მოხდეს სამაგისტრო პროგრამების შეფასება და სრულყოფა.

7. თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალება სამაგისტრო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის განხორციელება, შესაბამისი დასკვნების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა ფაკულტეტების და აკადემიური საბჭოს წინაშე.

8. მაგისტრატურაში მისაღები წერითი გამოცდები გაიმართება უცხო ენასა და შესაბამის სპეციალობაში. სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დამატებით ჩატარდეს ზეპირი გამოცდაც.

9. სამაგისტრო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების ვადები:

– ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენის ვადაა 6 ივლისი.
– პროგრამის წარდგენის ვადა აკადემიური საბჭოსათვის – 6-14 ივლისი.
– პროგრამის განხილვა და დამტკიცება – 16 ივლისი.
– საბუთების მიღება იწარმოებს 3-12 სექტემბერს.
– მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ჩატარდება 24-28 სექტემბერს.

10. ზემოაღნიშნული წესები არ ვრცელდება ერთობლივ საერთაშორისო პროგრამებზე, რომლის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ენიჭება ერთობლივი აკადემიური ხარისხი.

გიორგი ხუბუა
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ახალი წესდების დამტკიცებით უნივერსიტეტის ავტონომიურობაზე მითქმა-მოთქმას, ალბათ, წერტილი დაესმება

ხათუნა ხატიაშვილი

მომავალი სასწავლო წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფუნქციონირებას ახალი წესდებით შეუდგება. ეს სწორედ ის დოკუმენტია, რომელიც იურიდიულად ამყარებს ალმა მატერის ავტონომიურობის სტატუსს და წარმოადგენს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სასწავლებლის საკანონმდებლო საფუძველს.

უნივერსიტეტის წესდება დადგენილი ვადების შესაბამისად „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის საფუძველზე მომზადდა. იგი 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება. ახალი წესდება უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ერთობლივად შეიმუშავეს, რის შემდეგაც დოკუმენტი აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა და განსახილველად განათლების სამინისტროს გადაუგზავნა. უნივერსიტეტის არსებობის ისტორიაში პირველი წესდება უნივერსიტეტის დაარსებისას 1918 წელს პროფესორთა საბჭომ დაწერა.

როგორც კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სრული პროფესორი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი და წესდების ერთერთი ავტორი ცირა ბარამიძე განმარტავს, წესდების პრეამბულის შემუშავებისას მან სწორედ ამ დოკუმენტით იხელმძღვანელა.

„წესდების მნიშვნელობა ძალიან დიდია. არ შეიძლება უმაღლესი სასწავლებელი მის გარეშე მუშაობდეს. ეს არის კანონმდებლობა, რომლითაც

უნივერსიტეტი ფუნქციონირებს. მასში გამოსჭვივის ქართული უნივერსიტეტის იდეური ხედვა, რომელიც თავისი ტოლერანტობის პრინციპით კარს უხსნის ყველა ეთნიკური წარმომავლობის, განსხვავებული კონფესიის ადამიანს, სტუდენტებს და პროფესურას. იგი დამყარებულია ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაზე, კაცობრიობის თანამედროვე მიღწევებსა და შეესაბამება ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში გატარებულ რეფორმებს, რომლის მთავარი მიზანი ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან გათანაბრება და მის წიაღში ღირსეული დამკვიდრებაა. ამ წესდებით უნივერსიტეტი ბოლონიის პროცესის დიდ ტრადიციებს უერთდება“, — აღნიშნა მან.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის წესდებებს შორის ცირა ბარამიძე ახალ დოკუმენტს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში საუკეთესოდ აფასებს, მიაჩნია, რომ მას სრულყოფილების პრეტენზია მაინც არ შეიძლება ქონდეს, რადგან გადასასინჯი მუხლებიც არსებობს.

უნივერსიტეტი საქართველოში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებს შორის ჯერჯერობით პირველი უმაღლესი სასწავლებელია, რომელმაც ახალი წესდება დაწერა. აკადემიური საბჭოს წევრის, ფიზიკის მიმართულების სრული პროფესორის ალექსანდრე შენგელაიას თქმით, განათლების კანონის თანახმად უმაღლეს სასწავლებელს წესდების მიღების ვალდებულება რექტორის არჩევიდან 6 თვის განმავლობაში აკისრია. ამჟამად, ანალოგიური დოკუმენტების შექმნაზე რამდენიმე სასწავლებელშიც მუშაობენ.

ალექსანდრე შენგელაიას თქმით, განათლების კანონი ბევრ ჩარჩო-დებულებას შეიცავს, თუმცა იყო საკითხები, რომლებიც უნივერსიტეტს თავისი საჭიროებისა და აუცილებლობის მიხედვით უნდა განესაზღვრა.

„ჩემი აზრით, ასეთი ცვლილებების წესდებაში შეტანა მოხერხდა. მასში უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ასპექტი — ყველა სტრუქტურის: რექტორის, ადმინისტრაციის, ფაკულტეტების, დეკანის, ასევე სტუდენტური თვითმმართველობისა და თავად სტუდენტების კომპეტენციები და უფლება-მოვალეობებია განსაზღვრული. ავტონომიურობის სტატუსის მიუხედავად, წესდების უქონლობის პირობებში, უნივერსიტეტთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები რეგულირდებოდა განათლების მინისტრის ცალკეული ბრძანებებით, რომელიც ძალაში იყო მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში. წესდება, უპირველესად, უნივერსიტეტის ავტონომიურობის ხარისხს წაადგება. რექტორის თუ ფაკულტეტის დეკანის ასარჩევად განათლების სამინისტროს ბრძანება აღარ გვჭირდება, წესდების საფუძველზე უნივერსიტეტი საკუთარ ცხოვრებას თავად წარმართავს. უნივერსიტეტისთვის წესდება იგივეს ნიშნავს, რასაც ქვეყნისთვის კონსტიტუცია წარმოადგენს,"-აღნიშნა მან.

ვიდრე ახალი წესდება ძალაში შევა, საზოგადოების დაინტერესებულმა ნაწილმა უნდა იცოდეს, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში უნივერსიტეტი ფაკულტეტების დეკანების არჩევნებს სწორედ ახალი დოკუმენტის საფუძველზე ჩაატარებს. მანამდე კი წესდებაში განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ამოქმედდება ფაკულტეტების საბჭოები, რომლებსაც ამ პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება დაეკისრება.

ასე რომ, უნივერსიტეტი სრულფასოვან ფუნქციონირებას იწყებს, რასაც ყველა ასპექტით კანონიერი სახე მიეცემა და ავტონომიურობაზე ყოველგვარ მითქმა-მოთქმას წერტილი დაესმება.

მეორეხარისხოვანი „სხვაგან სამსახური“ უნდა იყოს და არა თსუ-ში საქმიანობა

რა პრობლემები გამოიკვეთა მიმდინარე სასწავლო წელს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები საუნივერსიტეტო მეცნიერებისა და განათლების სისტემის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს ითვალისწინებს და უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტი იყოს ელიტარული საგანმანათლებლო დაწესებულება არამარტო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, არამედ გახდეს ლიდერი, სულ მცირე, რეგიონის მასშტაბით. ამ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტს ის ვითარებაც აკისრებს, რომ 2006 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებით თსუ-ში ჩარიცხული 2 900 აბიტურიენტიდან სახელმწიფო გრანტი 2 400-მდე სტუდენტმა მოიპოვა. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს ნდობას უცხადებს ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი.

2006 წლის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პროგრამების მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 68% თვლის, რომ მათ თსუ-ში სწავლით გაუმართლდათ მოლოდინი. 68% კმაყოფილია თსუ-ში სწავლით, 65% კი კმაყოფილია თავისი ძირითადი სპეციალობით.

რა იზიდავთ უნივერსიტეტში — მისი წარსული თუ სამომავლო პერსპექტივები? რა პრობლემები გამოიკვეთა მიმდინარე სასწავლო წელს? — ამ საკითხებზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტების დეკანები გვესაუბრნენ.

მაკა ლდოკონენი

გამოცდებზე გადაწერის, პლაგიატის, ლექციების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებში სამართლიანი სიმკაცრეა საჭირო

იოსებ სალუქვაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— „2006-2007 სასწავლო წელი ინტენსიური ცვლილებებით გამოირჩეოდა, — პრობლემებიც ბევრი გვქონდა, უმთავრესი კი არადამაკმაყოფილებელი სამუშაო და სასწავლო პირობები გახლდათ. ჩვენი ფაკულტეტი, ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა — კაბინეტებისა და აუდიტორიების სიმცირის გამო ლექციები ცდებოდა, მათ სათანადო დონეზე ჩასატარებლად აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობაც არ გაგვაჩნდა“.

იოსებ სალუქვაძე სტუდენტების და ლექტორების მხრიდან ლექციების გაცდენის საკითხსაც შეეხო. მისი აზრით, თუ სტუდენტი შეგნებულად აცდენს ლექციას, ეს არასაკმარისი მოტივაციით არის განპირობებული. რაც შეეხება ლექტორების მიერ გაცდენილ ლექციებს, მიზეზი არასათანადო ანაზღაურებაა:

— „ზოგიერთი ლექტორი იძულებულია რამდენიმე ადგილზე იმუშაოს და დროს სათანადოდ ვეღარ ანაწილებს. უნდა არსებობდეს ერთგვარი გუნდური პრინციპი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან უნდა განსხვავდებოდეს კადრებით. თუ ერთი და იმავე ლექტორმა ყველა უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია, უნივერსიტეტი პრესტიჟს დაკარგავს“, — განაცხადა ბატონმა იოსებმა.

იგი მიიჩნევს, რომ დასახული პრობლემები ერთბაშად და სწრაფად არ გადაწყდება. რეფორმა ხანგრძლივი პროცესია და თავდაუზოგავ მუშაობას მოითხოვს:

— „მთავარია, საქმე დაიძრას და გამოუვალ სიტუაციებში აღარ აღმოვჩნდეთ, რაშიც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მხარს გვიჭერს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ სწორად გამოიკვეთოს პრიორიტეტები, ანუ, სამართლიანი განაწილების პრინციპით ვიხელმძღვანელოთ. დღეს ზოგიერთ ფაკულტეტს მეტი პრობლემა აქვს, ზოგიერთს — ნაკლები. ყველა სპეციალობა პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ მაღალმოთხოვნად სპეციალობებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ და შრომის მინიმალური პირობები მაინც შევქმნათ. არ მგონია, რომ უნივერსიტეტში ფართის ისეთი დეფიციტი იყოს, რომ სამი-ოთხი ოთახი ვერ გამოგვიყონ. საზოგადოებრივი გეოგრაფიის კათედრაზე ყუთებით დგას დონორების მიერ ჩვენი ფაკულტეტისთვის მოწოდებული კომპიუტერები, მაგრამ ვერ ვიყენებთ იმის გამო, რომ ოთახები არ გაგვაჩნია“.

თსუ-ის რექტორის სურვილს, სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგიონში პირველ უმაღლეს სასწავლებლად იქცეს, იოსებ სალუქვაძეც იზიარებს:

— „სახელმწიფო უნივერსიტეტის პოტენციალი და ტრადიციები იმის წინაპირობას ქმნის, რომ იგი, მომავალში, პირველ უმაღლეს სასწავლებლად გადაიქცეს. წლების მანძილზე შექმნილი იმიჯიც თსუ-ის სასარგებლოდ მოქმედებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. უნივერსიტეტის იმიჯს მუდმივი განმტკიცება და მხარდაჭერა სჭირდება. უნდა შეიქმნას სათანადო მატერიალური ბაზა, შევიმუშაოთ კადრების შერჩევის გარკვეული სტანდარტები, ბევრი ვიმუშაოთ საკუთარ თავზე, სტუდენტების მიმართ მეტი სიმკაცრე და პრინციპულობა გამოვიჩინოთ. ვფიქრობ, გამოცდებზე გადაწერის, პლაგიატის, ლექციების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებში სამართლიანი სიმკაცრეა საჭირო. უნდა შევიმუშაოთ ისეთი რეჟიმი, რომელიც სტუდენტს აიძულებს, თავდაუზოგავად იშრომოს. ყველამ ვიცით, თუ რა კარგი ხანაა სტუდენტობა, როგორი სილაღე ახლავს თან, მაგრამ ევროპაში სტუდენტები თავდაუზოგავად შრომობენ. ამიტომ ჩვენ უნდა ავირჩიოთ, რა გვირჩევნია: ლაღი ცხოვრება გაუფასურებული დიპლომით, თუ მძიმე შრომა და კონკურენტუნარიანობა მომავალში.

სტუდენტის დონე და ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული ლექტორის მოთხოვნებზე. თუ მას მკაცრად მოთხოვ, მეტს იმუშავებს, რომ თავი გადაირჩინოს. მარტივად რომ ვთქვათ, ლექტორი, რომელიც არავის არაფერს თხოვს, ადამიანურად შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ საქმისთვის არ გამოდგება. მე თავად მეგობრული ურთიერთობა მაქვს სტუდენტებთან, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სწავლაში შეღავათის გაწევა არასწორი და ცუდი სამსახურია და, საბოლოოდ, სტუდენტს აზარალებს“.

ძირითადი პროგლემები რეგისტრაციასთანაა დაკავშირებული

დარეჯან თვალთვაძე, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— „ჩვენი ფაკულტეტის პრობლემები, ალბათ, დიდად არ განსხვავდება სხვათაგან, თუმცა შედარებით ორგანიზებული სიტუაცია გვაქვს და ამაში დიდი წვლილი სტუდენტებსაც მიუძღვით. ისინი კარგად გაერკვნენ ახალ სისტემაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი მათთვის იოლი არ იყო.

მე-7 გვერდზე

სტუდენტთა პირველი რეგისტრაციის პროცესი, ოქტომბერი, 2007 წ.

როგორც ნესტან-დარეჯანია ქაჯეთის ციხიდან გამოსახსნელი, ისე ცხინვალის მოსახლეობაა კოკოითისგან დასახსნელი

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე თამარაშენში

პირველი გვერდიდან

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვა 7 საათი გაგრძელდა. აქციის მონაწილეებმა შოთა რუსთაველის პოემა თავიდან ბოლომდე წაიკითხეს. „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვაში დიმიტრი სანაკოევმაც მიიღო მონაწილეობა და ოსურ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნიდან“ რამდენიმე სტროფი წაიკითხა. მან შოთა რუსთაველის პოემის საჯაროდ კითხვას მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა და აღნიშნა, რომ ეს ტრადიცია მომავალ თაობებსაც უნდა გადაეცეთ. ადგილობრივი მოსახლეობა ღონისძიებას ბოლომდე დაესწრო. კონფლიქტის ზონაში „ვეფხისტყაოსნის“ მარათონული კითხვის მნიშვნელობაზე აქციის მონაწილეებმა ისაუბრეს.

დათო ტურაშვილი, მწერალი:

— „წელს გადავწყვიტეთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა რეგიონებში დაგვეწყო, რადგან ჩვენთვის მხოლოდ თბილისი არ არის დედაქალაქი, ჩვენთვის დედაქალაქია საქართველოს ნებისმიერი სოფელი თუ რაიონი. გვინდა, სხვადასხვა კუთხეში „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა ტრადიციად ვაქციოთ. დღეს ჩვენ ვდგავართ უძველეს ქართულ მიწაზე და ამ ხალხს ვეუბნებით, ჩვენ არ ვართ იარაღის ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, ჩვენთვის კულტურული და სულიერი ფასეულობები ძალიან მნიშვნელოვანია.

„ვეფხისტყაოსანი“ — ეს არის უნიკალური წიგნი, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს გაერთიანებას. ეს წიგნი ეკუთვნის ყველას, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა.

რვა საუკუნის წინ დაწერილ „ვეფხისტყაოსანში“ ყველა თანამედროვე პრობლემის ამოხსნის გზას იპოვით.

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვის იდეა ესპანური გამოცდილებიდან მოდის. ესპანელებისთვის ასეთი წიგნი სერვანტესის „დონ კიხოტია“.

ანა კორძაია-სამადაშვილი, მწერალი:

— „როგორც პირამიდები არ ეკუთვნის მხოლოდ ეგვიპტეს, ასევე არ არის „ვეფხისტყაოსანი“ მარტოოდენ ქართველების. ის ყველასია: ოსების, ფრანგების, ჩინელების... მთელი დედამიწის. ერთხელ თუ მოკიდე ხელი, ვერასოდეს ვეღარ ეგლიჯები. მას ნებისმიერ ასაკში გადაიკითხავ. „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ — ეს ხომ ყველამ ისედაც ვიცით, უკვე გენში ზის, უბრალოდ, კიდევ ერთხელ ამის თქმა უფრო კარგია და არ შეიძლება ამის ხმამაღლა წარმოთქმა ვინმეს აშინებდეს.

სულ მახსენდება ხოლმე, 1968 წელს სან-ფრანცისკოში, როდესაც მშვიდობიან დემონსტრანტებს იარაღი მიუშვირეს, გოგონებმა თმებიდან ყვავილები ამოიღეს და ლულებში ჩატენეს. ნათქვამია, ადამიანი რომ იღიმება, მუშტს ვერ დაარტყამო. არ შეიძლება ასეთი აქციები საშიში იყოს. პირიქით...

მამუკა ხერხეულიძე, მწერალი:

— „მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა: „თუ გინდათ, რომ ქართული ენა კარგად ისწავლოთ, სამაჩაბლოში უნდა წახვიდეთ“ — ის, კონკრეტულად, შიდა ქართლს გულისხმობდა, რადგან აქაურები ქართულად განსაკუთრებით კარგად მეტყველებენ. ცნობილია, რომ „შექსპირი“ ისე კარგად არავის უთარგმნია, როგორც ივანე მაჩაბელს.

აქედან 50 მეტრში იწყება ცხინვალის კონტროლირებადი ტერიტორია. თამარაშენი ისეთივე ქალაქი იყო, როგორც ცხინვალი. ისტორიულ წყაროებში ნათქვამია, რომ თამარაშენში ქართველები, ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ. დღეს ცხინვალში მხოლოდ ოსური ოჯახები არიან. ეს რეჟიმის ავტორიტარულობასა და კრიმინალურობაზე მეტყველებს. არ მგონია, რომ ქართველებსა და ოსებს შორის ამ მშვიდობიან და კულტურულ დიალოგს ავტომატმა შეუშალოს ხელი.

ჩვენი აქციის დევიზია — „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. — ეს მიუთითებს სახელმწიფოს პოლიტიკაზე, რომელსაც ქართულ-ოსური პრობლემის გადასაჭრელად სახელმწიფო ატარებს.

კოკოითი რუსების მიერ დანიშნული მარიონეტია. ის ოსები, რომლებიც მძევლად ჰყავთ გამომწყვდეულნი, მალე გამოფხიზლდებიან და, ალბათ, მერე უკვე ეს ერთი მუჭა კრიმინალი ხალხი ვეღარ შეაჩერებთ. იმედი მაქვს, რომ ისინი ქართულ სახელმწიფოში ცხოვრებას მოახერხებენ. ასე რომ, ყველა სიტყვას და აფორიზმს შედეგი ექნება. ყოველი ჯადოსნური სიტყვა აუცილებლად მიაღწევს იმ ადამიანებამდე, ვისთვისაც ამას ვკითხულობთ."

თამარ ხიზანიშვილი, კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სანაკოევის მთავრობიდან:

— „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ ნაწარმოები ხომ არ არის, ეს არის მთელი იდეოლოგია, რისი ცოდნაც ასე ძალიან ჭირდება მთელ საქართველოს. ეს არის სამოქმედო პროგრამა, რომელიც არა მხოლოდ შენს ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოს ეკუთვნის. „ვეფხისტყაოსანს“ ხშირად ვკითხულობ მაშინ, როცა ძალიან მიჭირს. მე ცხინვალის ქართული თეატრის რეჟისორი ვარ. რაც უფრო ხშირად შევახსენებთ ჩვენს მოსწავლეებს, სტუდენტებს და ადგილობრივ მოსახლეობასაც — რა კულტურას ატარებენ ისინი, რაც უფრო ხშირად ჩავერთვებით „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის იდეების პროპაგანდაში, მით უფრო დავინახავთ შედეგებს. ეს შედეგი იქნება ისეთი, როგორიც საქართველოს სჭირდება.

ადგილობრივ მოსახლეობას უყვარს ეს წიგნი. დარწმუნებული ვარ, რომ ოსი პოეტები, ლიტერატორები, ის ადამიანები, ვინც ცხინვალშია და დღეს ამ აქციაში მონაწილეობას თავს არიდებს, აუცილებლად შემოგვიერთდებიან, თუკი ჩვენ შევეცდებით მათთან ურთიერთობის დამყარებას. ისინი ხომ 15 წელია ითმენენ იმას, რაც ხდება. ცხინვალში ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ცხოვრობენ. მათ დღესაც აქვთ ჩვენი სიყვარული. მსგავსი აქციები ერთდღიანი კი არა, არამედ ყოველდღიური და ყოველწუთიერი უნდა იყოს. როგორც ნესტან-დარეჯანია ქაჯეთის ციხიდან გამოსახსნელი, ისე ცხინვალის მოსახლეობაა კოკოითისგან დასახსნელი.

ჩვენ შეგვიძლია „ვეფხისტყაოსანი“ ოსურ ენაზეც წავიკითხოთ. ამ რეგიონს ეს ძალიან სჭირდება. დღეს ამ ღონისძიების მასპინძელი ივანე მაჩაბელის სახელობის მუზეუმია. მას ნატყვიარები ჯერ კიდევ ეტყობა, მუზეუმი, ფაქტობრივად, დანგრეულია, მაგრამ ვეცდებით, იგი მოიაზრებოდეს, როგორც კულტურის დიდი კერა საქართველოში“.

ნუგზარ წიკლაური, თსუ-ის გამომცემლობის დირექტორი:

— „თბილისში ეს ღონისძიება სამჯერ გაიმართა. დღეს ყველაზე მეტად ეს კუთხე საჭიროებს სიყვარულსა და თანადგომას. ისეთი გულუბრყვილო არ ვარ, რომ ვიფიქრო — კონფლიქტი ერთი ასეთი ღონისძიებით მოგვარდეს, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა თუ ერთ ადამიანს მაინც დააფიქრებს, რომ მტრობას მშვიდობა სჯობს და რომ კეთილი აუცილებლად სძლევს ბოროტს, მაშინ ღონისძიების მიზანი მიღწეულია. კითხვას ჩვენ სხვა რეგიონებშიც გავაგრძელებთ. რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ იმ ერთადერთი მიზნით იმოგზაურებენ, რომ კაცთმოყვარეობის იდეალები მთელი საქართველოს მასშტაბით განავრცონ.

გია ხუგუა, თსუ-ის რექტორი:

— „ნებისმიერი ერი, რომელსაც კულტურული ტრადიციები გააჩნია, აუცილებლად უნდა იყოს განწყობილი სწორედ დიალოგისთვის, მიმტევებლობისა და პატიებისთვის. ერთიან და ძლიერ საქართველოში ოსებს ძალიან დიდი პერსპექტივა ელოდებათ. დარწმუნებული ვარ, რომ შეგვიძლია ავაშენოთ ისეთი სახელმწიფო, რომელიც იქნება მაგნიტივით და ნებისმიერი ერის წარმომადგენელს მიიზიდავს და დაანახებს, რომ საქართველო მათ განვითარების რეალურ შანსს სთავაზობს“.

საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთის ფართო ავტონომიის მოდელისა და ოსი ხალხისთვის პოლიტიკურ-კულტურული თვითმყოფადობის გარანტიები, რა თქმა უნდა, ქართველებისა და ოსების თანაცხოვრების საფუძველზე რეალიზებადია. შეუქცევად პროცესს ვერანაირი სანგრების გაძლიერებული თხრა და მუდმივი შიშის სინდრომის შენარჩუნება ვერ შეაჩერებს, რადგან ცხინვალთან ახლოს, ტყვიამფრქვევების პარალელურად, ქართულ და ოსურ ენებზე სიმღერისა და ლექსის ხმაც ისმის. იქ იციან, რომ ერთი სახელმწიფო დროშის ქვეშ, საქართველოს ძლიერების ოქროს ხანაში, ქართველებს და ოსებს საერთო ისტორიული გამარჯვებები აქვთ მოპოვებული და წართმეული ფასეულობების დაბრუნების ერთობლივი მცდელობა უკვალოდ არც ამჯერად ჩაივლის.



არ შეიძლება, ჩვენი ნებისმიერი აქტივობა მხოლოდ პოლიტიკურ ინტერესებს მიაწეროონ

სტუდენტური თვითმმართველობა ერთი წლისაა

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა ერთი წლისაა. ვერავინ იტყვის, რომ თვითმმართველობამ სტუდენტობას თავი არ დაამახსოვრა. მის საქმიანობაზე ყველას თავისი მოსაზრება აქვს. ყველაზე დადებითი, რაც ამ ორგანიზაციამ ერთი წლის მანძილზე გამოავლინა, ეს არის წარმატებისკენ სწრაფვა. ჩატარდა არაერთი საინტერესო ღონისძიება, განხორციელდა არაერთი ინიციატივა და პროექტი. მათ სურთ გამარჯვება, სჭირდებათ პოპულარობა, აქვთ ამბიცია — ეს მათთვის, უნივერსიტეტისთვის და ქვეყნისთვისაც ძალიან კარგია, მაგრამ ზოგი თვლის, რომ თვითმმართველობის წარმომადგენელთა აქტიურობა საკმარისი არ არის, რომ ისინი არ ინტერესდებიან იმ სტუდენტების პრობლემებით, რომლებიც თვითმმართველობის წევრები არ არიან. ანუ, მათ უკვე ჰყავთ ოპონენტები და ესეც ამ ორგანიზაციის უკეთესად ფორმირებისთვისაა უმჯობესი. გამოიკვეთა ერთი პრობლემაც: — თვითმმართველობის სტრუქტურის შექმნა სტუდენტთა ნაწილმა „სახელისუფლო რგოლის“ ჩამოყალიბებად აღიქვა, ამიტომ განერიდა მას და ურთიერთობის ნებისმიერ ფორმაზე უარი თქვა. ამდენად, ის შეხედულებები და განწყობილებები, რაც ჩვენს საზოგადოებაშია დამკვიდრებული, უნივერსიტეტის წიაღშიც აშკარაა. თვითმმართველობის წევრებისთვის ძალიან მტკივნეულია ის, რომ მათ „მართულებს“ უწოდებენ და მათი ნებისმიერი სერიოზული გადაწყვეტილების უკან პოლიტიკოსთა სახეებს ეძებენ. ეს ტენდენცია, გარკვეულწილად, დამთრგუნველია მათთვის, ვისაც დამოუკიდებლად საქმის კეთების ჯანსაღი ამბიცია აქვს. ცნობილია, ვინც საქმეს აკეთებს, ის უფრო მეტად ილანძღება — ამ სამწუხარო რეალობას ახალგაზრდები ახლა ეგუებიან, მთავარია, რომ თვითმმართველობა შედგა და დღეს მათი ხელმძღვანელები სამართლიანი კრიტიკის მისაღებადაც მზად არიან.

ნინო კაკულია

ინტერვიუ სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის თავმჯდომარესთან
თორნიკე ხუციშვილთან:

— თქვენი აზრით, არის თუ არა უმეტესობა თქვენი საქმიანობით კმაყოფილი?

— ბუნებრივია, თვითმმართველობა იდეალურად არ მუშაობს და ვერც იმუშავებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს ორგანიზაცია სულ რაღაც ერთი წელია, რაც ქართულ რეალობაში არსებობს. ბევრი რამ დასახვეწია, ბევრიც — შესაცვლელი, მაგრამ ყველაზე დადებითი, რაც თვითმმართველობის მუშაობაში ადამიანმა შეიძლება დაინახოს, ეს არის ის, რომ თვითმმართველობაში მყოფი ყველა სტუდენტის ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ რაღაც ახალი შევქმნათ — ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ანუ ჩვენ, მიუხედავად სიძნელეებისა, ფარ-ხმალს არ ვყრით და ვცდილობთ, რომ სტუდენტებისთვის, მაქსიმალურად, ბევრი კარგი საქმე გავაკეთოთ.

— თანამშრომლობთ თუ არა იმ სტუდენტებთან, რომლებიც თვითმმართველობის წევრები არ არიან, ცდილობთ თუ არა მათი მოთხოვნების გათვალისწინებას?

— თვითმმართველობა პირდაპირ კავშირშია სტუდენტებთან. სტუდენტური თვითმმართველობა არ არის ნომენკლატურული ორგანო. ეს არის სტუდენტების მიერ არჩეული სტუდენტთა ჯგუფი, რომელმაც ვალდებულება აიღო, რომ უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება შემოქმედებითი გახადოს. გარდა იმისა, რომ სტუდენტმა უნდა ისწავლოს, ის შემოქმედებითადაც უნდა დაკავდეს — თავისი იდეები და ინიციატივები შემოგვთავაზოს. თვითმმართველობამ სწორედ ამის ორგანიზატორობა იკისრა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, რექტორატმა საჭიროდ ჩათვალა, რომ ამ ფუნქციის განსახორციელებლად ჩვენთვის თანხები გამოეყოთ. ნებისმიერმა სტუდენტმა, თუნდაც, ჩვენთან მოპაექრემ, ერთი არგუმენტი მაინც მოიყვანოს, რომ ბიუჯეტიდან სტუდენტებისათვის გამოყოფილი თანხა კერძო ინტერესებისთვის იხარჯება. მსგავს ფაქტს ვერავინ დაასახელებს.

ჩვენი პოზიცია არის ცალსახა — ვაღიარებთ, რომ ყველაფერი იდეალურად არ არის, მაგრამ ყოველდღიურად ვმუშაობთ, რომ ეს სტრუქტურა ავაწყოთ, შევქმნათ ისეთი მექანიზმი, რომ თვითმმართველობასთან ურთიერთობა უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს შეეძლოს, რათა თითოეულისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ჩვენს პროექტებში მონაწილეობა. უნივერსიტეტი უზარმაზარი სტრუქტურაა, ბუნებრივია, რომ 20 000 სტუდენტს ჩვენი ორგანიზაციის თანხები ვერ გაწვდება და ყველა სტუდენტის ინტერესებს ვერ დაკმაყოფილებს — ეს ყველამ უნდა იცოდეს. მაგრამ, ვისაც საქმის კეთების სურვილი აქვს, დიდი სიამოვნებით დავუჭერთ მხარს.

— არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ, თითქოს, თვითმმართველობაში შეიქმნა ელიტა, რომელიც სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებს, სტუდენტებს ყურადღებას არ აქცევს, მათ აზრს იგნორირებას უკეთებს. რამდენად რეალურია ეს პრეტენზიები?

— თვითმმართველობაში შექმნილია სტრუქტურები, რომელთაც ამა თუ იმ საქმეზე პასუხისმგებლობა აკისრიათ. ბუნებრივია, ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. მათი ტონი ჩვენში რაიმე უარყოფით რეაქციას არ იწვევს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უგულვებელვყოფთ მათ პრეტენზიებს ან რომელიმეს მტრად აღვიქვამთ. ბუნებრივია, რასაც ჩვენს მიმართ გამოთქვამენ, ვაანალიზებთ და ვითვალისწინებთ, მაგრამ ერთია, როდესაც ადამიანი შენიშვნას გაძლევს იმ მიზნით, რომ რაღაც შეიცვალოს, გამოსწორდეს, დარეგულირდეს, და მეორეა, როდესაც განაწყენებული ადამიანი უსაფუძვლო პრეტენზიებს გიყენებს და ნიშნის მოგებით გეუბნება, რომ საქმეს არ აკეთებ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში რეაქცია გიჩნდება.

— აფხაზეთში დაკავებული სტუდენტების გასათავისუფლებლად აგორებული სტუდენტური აქციების შემდეგ თვითმმართველობის პოლიტიზირებაზე აქტიურად დაიწყეს საუბარი. ამ თემაზე გამოკითხვა გაზეთმა „ახალგაზრდა იურისტმაც“ ჩაატარა, ანუ ძალიან ბევრი დაინტერესდა იმით, დგას თუ არა რომელიმე პოლიტიკური ძალა თვითმმართველობის ამა თუ იმ დაჯგუფების უკან. უნივერსიტეტში გამართული „აფხაზეთის კვირეულის“ ერთერთ შეხვედრაზე ექსმინისტრმა გოგა ხაინდრავამ სტუდენტებს პირდაპირ უწოდა ხელისუფლების დაკვეთის შემსრულებლები, რაზეც, მაგალითად, თქვენ რეაქცია გქონდათ. ეს საკითხი რამდენად მტკივნეულია დღეს თვითმმართველობისთვის?

— ვინ დგას სტუდენტების უკან? — ამაზე ხშირად არის საუბარი. მე, უბრალოდ, მინდა დავსვა კითხვა: იმ ადამიანებმა, რომლებიც თვითმმართველობის სტუდენტებს ვიღაცის ინტერესების გამტარებლებად მოგვიაზრებენ, მოიყვანონ თუნდაც ერთი მაგალითი, როცა ჩვენ რომელიმე საკითხთან მიმართებაში არასტუდენტური პოზიცია დავიკავეთ და რომელიმე სტუდენტის ინტერესი არ დავიცავით.

ზოგადად თუ ვილაპარაკებთ, დღეს პოლიტიზირებულია ყველა, რადგან პოლიტიკა არის ჩვენი ცხოვრების ნაწილი. ნათქვამიცაა — ადამიანი პოლიტიკური ცხოველიაო. ძალიან მცდარია აზრი, რომ ჩვენ „მართულები“ ვართ. ამასთან დაკავშირებით ასეთი პოზიცია მაქვს: — ნებისმიერ ადამიანს, ვინც ჩვენ გვმართავს იმისთვის, რომ ჩვენი აფხაზეთი — ჩვენი ტკივილი დავიბრუნოთ და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღვადგინოთ, მადლობას დიდი სიამოვნებით გადავუხდი და ვეტყვი, რომ ამ მიმართულებით ვიმართებით. ჩვენ გვმართავს ჩვენი სინდისი, ჩვენი რწმენა და გულწრფელად გვინდა, რომ დაკარგული ტერიტორიები აუცილებლად დავიბრუნოთ. ჩვენ ყოველთვის ვიდგებით ქვეყნის სადარაჯოზე — ეს არის ჩვენი ერთადერთი მართვის მართებულობა, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ინტერვიუ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტთან
გიორგი ავალიანთან:

— უკვე ერთი წელია, თვითმმართველობა არსებობს. რა გააკეთა ამ ორგანიზაციამ და რა აქვს გასაკეთებელი იმ პრეტენზიების ფონზე, რაც სტუდენტობას აქვს?

— ჩემი გადმოსახედიდან, კმაყოფილი ვარ. ვთვლი, რომ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები იყო პირველი წარმატებული ექსპერიმენტი, რაც უნივერსიტეტში განხორციელდა. ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი ღონისძიება ჩატარდა და ყველაზე კარგი ის არის, რომ სტუდენტები ნელ-ნელა სწავლობენ სტუდენტურ პროგრამებზე მუშაობას. მათთვის თვითმმართველობა უცხო ხილი იყო და უკვე პრაქტიკა მიიღეს, თუ როგორ შეიძლება დაგეგმო სტუდენტური ცხოვრება. ვთვლი, რომ ერთი წლის შედეგების თანახმად თვითმმართველობის საქმიანობა წარმატებულია, მაგრამ უფრო უკეთესი და უპრიანი იქნებოდა, ამაზე სტუდენტების აზრი მოგესმინათ, რადგან ჩვენ მიერ განხორციელებული საქმიანობის წარმატების ინდიკატორი სწორედ სტუდენტური საზოგადოების აზრია.

— როდესაც გავესაუბრეთ რამდენიმე სტუდენტს, ზოგიერთი მათგანისგან მოვისმინეთ, რომ სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებისგან შორს დგას. რამდენად აუცილებელია სტუდენტი თვითმმართველობის წევრი იყოს, რათა მისი პრობლემით დაინტერესდეთ?

— ჩვენი მთავარი სტრატეგიაა, რაც შეიძლება თვითმმართველობის მცირე რაოდენობის წევრზე ვიყოთ ორიენტირებულნი, ანუ ჩვენთვის მნიშვნელოვანია კონკრეტული საქმის კეთება და არა გაბერილი, მასობრივი ორგანიზაციის შექმნა. თუ თვითმმართველობასა და რომელიმე სტუდენტს შორის აღმართულია დიდი ბარიერი — ეს ინფორმაცია არ მაქვს. ჩვენი კარი ყველასათვის ღიაა. დამისახელეთ თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ სტუდენტი მოვიდა და მის პრობლემას ვინმე უგულისყუროდ მოეკიდა ან ცივად შეხვდა. ნებისმიერი ინიციატივა და პრობლემა, რაც თვითმმართველობის სტრუქტურებამდე მოდის, მეტნაკლებად, ჩვენს ხელთ არსებული რესურსებიდან გამომდინარე, წახალისებულია და გვარდება. ჩვენი მთავარი მიზანიც ის არის, რომ სტუდენტების უფლებებზე ვიზრუნოთ და, შესაბამისად, თუ მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ან ადმინისტრაციასთან ურთიერთობის თვალსაზრისით პრობლემები ექნებათ, დავეხმაროთ.

ყველა სტუდენტს შეუძლია მოვიდეს და თავისი კანონიერი ინტერესები დაიცვას. თვითმმართველობა მათ მიერ არის არჩეული და, შესაბამისად, ეს ჩვენი ვალდებულებაა.

— ხომ არ არის სტუდენტების უმეტესობა ინდიფერენტული? ეს ჩვენს საზოგადოებას ახასიათებს. უმრავლესობა ინიციატივას თავად არ იჩენს, საკითხს არ სვამს, არ იბრძვის და შემდეგ ხელისუფლებას აბრალებს უმოქმედობას. ამის მიზეზი შეიძლება ნდობის დაკარგვაც იყოს, მაგრამ პასიურობით გამოსავალს ვერავინ იპოვის. თქვენც იგივე პრობლემას ხომ არ აწყდებით?

— გეთანხმებით, ეს მხოლოდ სტუდენტების კი არა, ზოგადად, საზოგადოების პრობლემაა. როგორც აღვნიშნე, სტუდენტებისთვის თვითმმართველობა ახალი ხილია და მათში ურთიერთობის კულტურა ჯერ არ არის დამკვიდრებული. ვიმედოვნებ, რომ თანდათან ეს გამოსწორდება. თითოეულ სტუდენტს სრული კანონიერი და მორალური უფლება აქვს, თვითმმართველობას საკუთარი ინტერესების დაცვა მოთხოვოს. მაგრამ ისინი არ მოდიან, არ აქტიურობენ — ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ თავად საზოგადოებაა ინდიფერენტული. სახელისუფლო რგოლები მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა ძალიან გაუჭირდებათ.

— ხომ არ თვლიან თვითმმართველობას კომუნისტურ გადმონაშთად? ასეთი აღქმა ბევრს ხელს უშლის ახალ სტრუქტურებთან თანამშრომლობაში...

— ეს კვლავ მენტალიტეტის პრობლემაა. სტუდენტური ორგანიზაცია არის ახალი სტრუქტურა, ახალი „კულტურა“ და მათ უჭირთ ამ გარემოში ადაპტაცია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რაღაც პერიოდის შემდეგ ყველაფერი შეიცვლება და მოგვარდება.

— როდესაც ქვეყანაში შიდაპოლიტიკური სიტუაცია მწვავდება, ეს ხშირად აისახება ხოლმე სტუდენტთა შორის ურთიერთობაზეც. პოლიტიკური ძალები, მეტ-ნაკლებად, ცდილობენ უნივერსიტეტში სტუდენტების სახით მხარდამჭერთა რიცხვი გაზარდონ და ასეთი მცდელობა სტუდენტების შიდადაპირისპირებითაც დასრულებულა. თავდაცვის რა მექანიზმი აქვს თვითმმართველობას იმისთვის, რომ პოლიტიკა ასე აშკარად არ შეგეხოთ? საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელიღა რჩება და უკვე შეიძლება ამ პრობლემამ თავი იჩინოს...

— დიდი ეჭვი მაქვს, რომ არჩევნების დროს უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდობას შორის სიტუაცია დაიძაბება, მით უფრო ჩვენს უნივერსიტეტში, რადგან უნივერსიტეტი ყველა პოლიტიკური პარტიისთვის ყოველთვის იყო და იქნება ის ტკბილი ლუკმა, რითაც საზოგადოების მანიპულირება ძალიან ადვილად შეიძლება. სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირების ერთერთი მთავარი პრინციპი იყო, რომ უნივერსიტეტში ერთხელ და სამუდამოდ შეწყვეტილიყო ურთიერთდაპირისპირებულ ჯგუფთა არსებობა. მანამდე, დაახლოებით, 15-მდე სტუდენტური ორგანიზაცია, სწავლისა და სტუდენტური საქმის კეთების ნაცვლად, ყოველდღიურად სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის პრიორიტეტებისა და პოზიციების გახმოვანებით იყო დაკავებული. არ გამოვრიცხავ, რომ მაშინვე, როგორც კი პოლიტიკური ძალები გააქტიურდებიან, სიტუაცია, გარკვეულწილად, დაიძაბოს. ჩვენ უკვე შევნიშნეთ რაღაც მოძრაობები და გამოსვლები თვითმმართველობის შიგნითაც კი.

სტუდენტური თვითმმართველობა, თავიდან ბოლომდე, დემოკრატიულ საწყისებზეა არჩეული და ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია გააკეთოს განცხადება და შეფასება, მაგრამ მათ ქმედებებს საკუთარი მორალური და ზნეობრივი კოდექსი განსაზღვრავს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ შევჭღუდავთ ამ ადამიანებს, მაგრამ გვინდა ვთხოვოთ, რომ თავიანთი პოლიტიკური ინტერესები უნივერსიტეტის მიღმა დატოვონ.

— თქვენ, თქვენი მხრიდან ხელისუფლების ინტერესებს რამდენად გაატარებთ და რამდენად ეცდებით, რომ სიტუაცია არ დაძაბოთ?

— ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, რომ უნივერსიტეტში შენარჩუნდეს ჯანსაღი გარემო, რომელიც ყოველგვარი პოლიტიკური პროცესებისაგან შორს იქნება. ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები და ჩვენი საქმე არ არის ხელისუფლების ან ოპოზიციის ოპონირება. მაგრამ არსებობს თემები, რაზეც სტუდენტებმა ხმამაღლა უნდა ილაპარაკონ და იბრძოლონ კიდეც. ჩვენ ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ. ამიტომ არ შეიძლება, ჩვენი ნებისმიერი აქტივობა მხოლოდ პოლიტიკურ ინტერესებს მიაწეროონ.

— თვითმმართველობაში ოპოზიციური აზრების მიმართ რა განწყობა გაქვთ, მტრად ხომ არ ეკიდებით მათ, ვინც საპირისპირო აზრს გამოთქვამს?

— არავითარ შემთხვევაში! უბრალოდ, ყველას თავისი სიმართლე და თავისი არგუმენტი უნდა ჰქონდეს. ოპონირება თვითმიზანი არ უნდა იყოს. ჩვენ კი ყოველთვის ვეცდებით, სიტუაცია განვმუხტოთ, რათა თვითმმართველობას ნორმალური მუშაობის ატმოსფერო და პირობები ჰქონდეს.

თანამედროვე მეცნიერება მრავალპროფილიანი და მულტიდისციპლინარული გახდა

ინტერვიუ შვეიცარიაში მოღვაწე ქართველ მეცნიერთან

საქართველოსთვის მძიმე წლებში ბევრმა მეცნიერმა დატოვა ქვეყანა და მოღვაწეობა უცხოეთში განაგრძო. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მათ შორის ყველაზე წარმატებულებს არჩევს და თანამშრომლობას სთავაზობს. ერთერთი მათგანია შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი ბიოფიზიკოსი, ბაზელის უნივერსიტეტის ბიოცენტრის ასოცირებული პროფესორი გია მაჩაიძე, რომელმაც საქართველო 1991 წელს დატოვა და ამჟამად ცნობილი ბიოფიზიკოსის, უელი ების სტრუქტურული ბიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რომელიც აკადემიურმა საბჭომ იანვარში დაამტკიცა, განსაკუთრებით გაესვა ხაზი უცხოეთში მოღვაწე ქართველ პროფესორებთან აქტიურ თანამშრომლობას, სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გაცნობასა და დანერგვას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება გია მაჩაიძის უნივერსიტეტში მოწვევა, რისი ინიციატორიც თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა იყო.

მაია ტორაძე

გია მაჩაიძემ 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ბიოფიზიკის მიმართულება. ამის შემდეგ იგი მუშაობდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ნეიროქიმიის ლაბორატორიაში, პროფესორ დავით მიქელაძესთან. აქვე, პროფესორ რეზო სოლომონიას ხელმძღვანელობით, დაიცვა დისერტაცია, რომლის კვლევის საგანი თავის ტვინის მეხსიერებისა და დამახსოვრების პროცესზე პასუხისმგებელი გარკვეული ცილების შესწავლა იყო. თავად ბატონი გია საკუთარ წარმატებებს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს უმადლის:

— ფიზიოლოგიის ინსტიტუტში უფრო ბიოქიმიურ სამუშაოს ვასრულებდი, ვიდრე ბიოფიზიკურს, მაგრამ ფიზიკური საფუძვლები ამ საქმიანობაში ძალიან დიდ დახმარებას მიწევდა. კარგი მასწავლებლები მყავდა. მათ შორის, ბატონი მალხაზ ზაალიშვილი და დავით ფრანგიშვილი, რომელიც დღეს პარიზის ერთერთ უნივერსიტეტში წამყვანი ლაბორატორიის ხელმძღვანელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობდა კარგი სკოლა, რომელსაც სათავეში უდიდესი მეცნიერები ედგნენ, — განაცხადა ბატონმა გიამ.

არეულობის წლებში გია მაჩაიძე, კომპოზიტების შესწავლის მიზნით, შვეიცარიელ კოლეგებთან ერთობლივ სამუშაოებს ასრულებდა. უცხოელმა კოლაბორანტებმა მეცნიერი თავისთან მიიწვიეს და რადგან საქართველოში უმძიმესი სიტუაცია იყო, არა მხოლოდ მეცნიერების განვითარების, არამედ პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისითაც, გადაწყვიტა, მოღვაწეობა შვეიცარიაში გაეგრძელებინა. ბატონი გიას აზრით, ამ გადაწყვეტილებამ უდიდესი გავლენა იქონია მისი, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებაზე, რადგან ისეთ ლაბორატორიებში მუშაობდა, სადაც შეესაძლებელი იყო, დაუფლებოდა სხვადასხვა თანამედროვე მეთოდებს:

— ვმუშაობდი სხვადასხვა დაწესებულებაში და ლაბორატორიაში, მათ შორის, „ნოვარტისის“ წინამორბედ ფირმაში — „სიბა-გაიგიში“. შემდეგ გადავედი ბაზელის უნივერსიტეტში, რადგან უნივერსიტეტი ჩემთვის უფრო ახლობელი იყო, ვიდრე დიდი ფირმა. თანაც სამუშაოდ უფრო საინტერესო თემატიკა შემომთავაზეს. ასე დავუბრუნდი ბიოფიზიკას და დღესაც ამ მიმართულებით ვმოღვაწეობ.

ბაზელის უნივერსიტეტის ბიოცენტრის რექტორი — პროფესორი იოაქიმ ზეელიგი კალორიმეტრიასა და ბირთვულ-მაგნეტურ რეზონანსში მსოფლიოში წამყვანი მეცნიერია. მის ლაბორატორიაში წარმატებული კვლევები მიმდინარეობს. აქ მოვამზადე საინტერესო პუბლიკაციები და, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მივიღე ადგილი ბატონ უელი ების ლაბორატორიაში, მსოფლიოში ერთერთ უძლიერეს მორის მიულერის სახელობის სტრუქტურული ბიოლოგიის ინსტიტუტში.

ლაბორატორია, რომელშიც ვმოღვაწეობ, გამორჩეულია იმით, რომ, ფაქტობრივად, მთელი სტრუქტურები, მაგალითად, უჯრედული აქტინის სტრუქტურა, უჯრედის ჩონჩხი — ციტოსკელეტი ამ ლაბორატორიაში გამოიკვლიეს. აქ დღესაც მუშავდება აქტუალური და წამყვანი თემები ბიოლოგიურ მეცნიერებაში. თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად მომეცა საშუალება, რომ, ბატონი ზეელიგის და სხვა დიდ მეცნიერთა დახასიათებით, დამეკავებინა მუდმივი პოზიცია, რომელიც ასოცირებული პროფესორის წოდებას შეესაბამება.

პროფესორი გია მაჩაიძე კვლევით მოღვაწეობას დღესაც ამ რანგში აგრძელებს. ჩართულია არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევებში, არამედ სხვადასხვა კერძო და ნახევრად კერძო გამოყენებით პროექტებში, რაც ხელს უწყობს, რომ კვლევა პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარეობდეს:

— ამჟერად, ვარ ფარმაკოლოგიური ფირმის — „თერაპეომიკ“-ის პროექტების წამყვანი თანამშრომელი. ჩვენ მსოფლიოს ცნობილი ფარმაცევტული ფირმებისთვის ვაკეთებთ იმ წამლების ხარისხის კონტროლს, რომლებიც ბაზარზე უნდა გავიდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის, რადგან თითოეული წამლის მიტანა მომხმარებლამდე თითქმის მილიარდი დოლარი ღირს. თუ წამლის ხარისხი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ფარმაცევტული ფირმა უზარმაზარი ფინანსური დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება. ამას კი შეიძლება საწარმოო სიმძლავრეების დახურვა და ათიათასობით ადამიანის უმუშევრობა მოჰყვეს. ამდენად, დღევანდელი ფარმაინდუსტრია ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ისეთ გამოკვლევებს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორი გია მაჩაიძე უკვე 16 წელია საქართველოში აღარ მოღვაწეობს, ქართულ სამეცნიერო წრეებთან კონტაქტი არ გაუწყვეტია. ის ქართველ მეცნიერებთან ერთად მუშაობდა სხვადასხვა თემაზე, მიღებული აქვს რამდენიმე ერთობლივი გრანტი. მან უცხოელი კოლეგებისა და სპონსორების დახმარებით, დააარსა „თანამედროვე კვლევების ასოციაცია“ (თსკა), რომელმაც, სხვა საქმიანობასთან ერთად, სამეცნიერო ჟურნალების გამოცემაც ითავა იმ დროს, როცა საქართველოში ასეთი ჟურნალები საარსებო სახსრების უქონლობის გამო ერთმანეთის მიყოლებით იხურებოდა. ჟურნალების გამოცემას უცხოელი სპონსორები დღემდე აფინანსებენ, რასაც პროფესორი მაჩაიძე კონკრეტული მიზეზით ხსნის:

— ეს ყველაფერი არის ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ურთიერთობების შედეგი და მცდელობა, რომ საქართველოს მეცნიერებას დახმარება გავუწიოთ. ჩვენ გამოვცემთ ოთხ ჟურნალს, აქედან ორი ინგლისურენოვანი ჟურნალი ეძღვნება მოლეკულურ ბიოლოგიასა და ბიოფიზიკას — The Journal of Bilogical Phisics and Chemistry და ნეიროქიმიას — Georgian Journal of Neirochemistry. გამოდის ასევე ჟურნალი „ფსიქე“ — ფსიქიატრების, ფსიქოლოგებისა და ფსიქოთერაპევტებისათვის და ჟურნალი „აკადემია“ — ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის.

ასოციაციას აქვს ვებ-გვერდი — www.amsi.ge, სადაც ეს ჟურნალები და სხვა საინტერესო მასალებია განთავსებული.

მადლობელი ვარ უნივერსიტეტის რექტორის და ბატონ იაგო კალანდაძის, რომ ამ ეტაპზე საშუალება მომეცა ჩემს მშობლიურ ფაკულტეტზე წამეკითხა ის კურსი, რომელიც მსოფლიოს უნივერსიტეტებში ბიოფიზიკისა და ბიოლოგიის შემსწავლელ მიმართულებებზე, ასევე ფარმაციის და ფარმაკოლოგიის დარგებისთვის იკითხება. ყველაზე ძალიან ის მახარებს, რომ მომზადებული, განათლებული და აქტიური სტუდენტების კონტინგენტი დამხვდა. მათი მონდომება ჩემთვის წამახალისებელია. ასევე მინდა აღვნიშნო მათი ხელმძღვანელის, პროფესორ თამაზ მძინარაშვილის ძალისხმევა, რომელიც ამ პროცესს უძღვება და მაქსიმალურად ცდილობს ლექციები კარგად ორგანიზებული იყოს.

ჩემი ამჟამინდელი თბილისური მოღვაწეობით კმაყოფილნი არიან შვეიცარიელი კოლეგებიც. მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრ პროექტში ვარ ჩაბმული და უამრავი საქმე მაქვს, როგორც კი გაიგეს, რომ თბილისიდან ასეთი შემოთავაზება მქონდა, მაშინვე გადადეს საქმეები და დათანხმდნენ, რომ აქ ჩამოვსულიყავი.

თბილისის უნივერსიტეტთან მომავალ ურთიერთობებზე ბატონი გია დიდი ინტერესით საუბრობს. მას მიაჩნია, რომ რეფორმა, რომელიც უნივერსიტეტში ტარდება, დროულია და სწორედ ის გზაა, რომელსაც ადგანან უცხოეთში, მათ შორის, შვეიცარიაშიც:

— ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რომ აქ რეალური და პერსპექტიული ცვლილებები დამხვდა. ეს რთული, მაგრამ კარგი დასაწყისია. ვფიქრობ, უკვე გაჩნდა ნიადაგი ერთობლივი პროექტებისა და გაცვლითი პროგრამებისათვის. შემიძლია ვთქვა, რომ დღევანდელი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, მართლაც, დიდ ძალისხმევას დებს უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივაში, რომ ის გახდეს თანამედროვე კვლევითი და საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი დაწესებულება. ვიცი, რომ სირთულეები არსებობს, მაგრამ მსგავსი რეფორმები მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს და ეს ყველგან მტკივნეული პროცესია. მაგალითად, ბაზელის უნივერსიტეტი 2 წელია გადავიდა ბოლონიის სისტემაზე. რაღაც განყოფილებები იქაც დაიკეტა და ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდათ, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი ლაგდება, რადგან გარდაქმნები გლობალური კონკინუნქტურისაგან არის გამოწვეული. სახელმწიფო მეცნიერის აღზრდისთვის უზარმაზარ სახსრებს ხარჯავს და იმის ფუფუნება, რომ კადრი აღზარდოს და შემდეგ მისგან სარგებელი ვერ ნახოს, არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს. ამდენად, როცა აქაური კოლეგები მეკითხებოდნენ, რა ვქნათ და ასე რატომ ხდებაო, ვპასუხობდი, რომ ეს ლოგიკური პროცესია და ის ყველგან რთული გადასატანია-მეთქი. ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტის რეფორმირება უმტკივნეულოდ და მოკლე დროში ვერ ხდება. ჩემი აზრით, ამ საქმეში ყველა უნდა ჩავერთოთ და მაქსიმალური წვლილი შევიტანოთ, რომ თბილისის უნივერსიტეტი, ტრადიციულად, მაღალი სტანდარტების უმაღლეს სასწავლებლად დარჩეს.

თავად ბატონი გია პარალელურად მონაწილეობს, როგორც აკადემიურ, ასევე კერძო ფარმაციულ გამოკვლევებშიც და ამას ერთმანეთის გამაწონასწორებელ მოღვაწეობას უწოდებს:

— ერთია, როცა იკვლევ ძირეულ სტრუქტურებს და იმას, თუ როგორ ფუნქციონირებს ცილები, უჯრედები და ა.შ და მეორეა, როცა ფიქრობ, როგორი ფორმით არის უმჯობესი სამკურნალო საშუალების ავადმყოფისთვის მიწოდება, რომ მას უკეთესი ეფექტი ჰქონდეს ორგანიზმის პათოლოგიის ან დაავადების თერაპიისათვის. თეორია და პრაქტიკა ჩემს მეცნიერულ მოღვაწეობაში ერთიანია, — განაცხადა ბატონმა გიამ.

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები რომ, შვეიცარიელი კოლეგების დახმარებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიები აღიჭურვოს თანამედროვე აპარატურით, რომლის გამოგზავნასაც ბატონი გია უზრუნველყოფს. მისი აზრით, ეს დაეხმარება ბიოფიზიკის ლაბორატორიას, როგორც პროფესიონალების აღზრდაში, ასევე სამეცნიერო კვლევებში. მას პოზიტიურად მიაჩნია საქართველოში გრანტების სისტემის ამოქმედებაც:

— ამ სისტემამ უნდა შექმნას უცხოეთთან სამეცნიერო კონტაქტების დამყარების საშუალება, რადგან დღეს კვლევები მხოლოდ ერთი ლაბორატორიის ბაზაზე აღარ კეთდება — თანამედროვე მეცნიერება მრავალპროფილიანი და მულტიდისციპლინარული გახდა. ამიტომაც, აუცილებელია კონტაქტები სხვადასხვა ლაბორატორიებსა და ინსტიტუტებს შორის. ამდენად, თუ ქართველ მეცნიერებს და სტუდენტებს არ ექნებათ ურთიერთობა მსოფლიო საზოგადოებასა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ ავიყვანთ ჩვენ ეროვნულ ინტერესებს. ეს ინტერესები ეროვნულ ინტერესებად ჩამოყალიბდა, ეროვნულ ინტერესებად ჩამოყალიბდა, ეროვნულ ინტერესებად ჩამოყალიბდა,

სტუდენტური კონფერენცია – „საქართველო და აღმოსავლეთი“

მაია ტორაძე

ივნისის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ჰუმანიტარული ფაკულტეტის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „საქართველო და აღმოსავლეთი“. კონფერენციის მუშაობაში უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები და 90-ე და 157-ე საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ სტუდენტური თვითმმართველობის ჰუმანიტარული ფაკულტეტის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის წარმომადგენლები: დავით რეკვავა, თამარ შენგელია და ქეთევან ჩეკურიშვილი.

სტუდენტებმა და სკოლის მოსწავლეებმა ძალზე საინტერესო თემატიკა წარმოადგინეს. დამსწრეთა და ჟიურის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თემებმა: „ჩაის ცერემონია იაპონიაში“ (ჯაბა მესხიშვილი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი), „ნადირ შაჰის ანტიშიიტური პოლიტიკა“ (ნათია პერანიძე, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი), „განათლების რეფორმა ეგვიპტეში და ალ-აზჰარის უნივერსიტეტი“ (თეონა გლოველი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი), „ტელეარხი „ალ-ჯაზირა“ და არაბული ქვეყნები“ (მაია შავიძე, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი), „უნდილაძეები ირანის სამეფო კარზე“ (ნინო შარიქაძე, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი), „ახალგაზრდების როლი საქართველოს განვითარებაში“ (თათია ბეროშვილი, თბილისის 90-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე), „მოგზაურობა პატარა საქართველოში, ანუ ჩვენებურები“ (გიორგი სოფრომაძე, 157-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე), „ფერეიდნელი ქართველი ქალი“ (ქეთევან ივანიშვილი, 157-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე), „ახალგაზრდობის როლი საქართველოს განვითარების საქმეში“ (მარინე ხიმშიაშვილი, 157-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე), „თურქი მესხები“ (თეონა ნანობაშვილი, 157-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე), „ახალგაზრდობის როლი საქართველოს განვითარების საქმეში“ (ეთერ პარატიძე, 157-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე).

კონფერენციაზე საინტერესო კითხვები დაისვა. ზოგიერთ საკითხზე გაიმართა დისპუტი გამომსვლელებსა და ჟიურის წევრებს – ისტორიკოს სვიმონ მასხარაშვილსა და პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილს შორის. სტუდენტებმა და მოსწავლეებმა დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს.

ჟიურიმ კონფერენციის მონაწილეთა შორის გამარჯვებულები გამოავლინა. სტუდენტთა შორის „საუკეთესო თემის ავტორად“ ნათია პერანიძე დასახელდა, ხოლო „მომავალი აღმოსავლეთმცოდნის“ წოდება ჯაბა მესხიშვილმა დაიმსახურა. მათ ფულადი ჯილდო 60-60 ლარის ოდენობით გადაეცათ.

რაც შეეხება მოსწავლეებს, გამოცხადებული სამი ნომინაციის თანახმად გამარჯვებულებად დასახელდნენ ქეთევან ივანიშვილი („საუკეთესო თემის ავტორი“), გიორგი სოფრომაძე („ნორჩი აღმოსავლეთმცოდნე“) და თათია ბეროშვილი („საუკეთესო ორატორი“).

როგორც ჟიურის წევრმა, პროფესორმა ჯემშიდ გიუნაშვილმა აღნიშნა, კონფერენცია საინტერესო იყო როგორც მეცნიერული კვლევის, ასევე უნივერსიტეტსა და სკოლის მოსწავლეებს შორის ურთიერთობის გაღრმავების თვალსაზრისით.

ჩაის ცერემონია იაპონიაში

ჯაბა მესხიშვილი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთ ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი:

– კონფერენციის შესახებ ინფორმაცია ორგანიზატორმა, თამუნა შენგელიამ მომაწოდა. საკონფერენციო თემად ავირჩიე „ჩაის ცერემონია იაპონიაში“. ჩემი მიზანი იყო გადმომეცა იაპონური ხასიათი, ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, იერარქია, რაც ჩაის სმის ცერემონიაში კარგად ჩანს.

იაპონია ძალიან საინტერესო ქვეყანაა. ამ ხალხისგან, მათი სხვა ქვეყნების მიმართ დამოკიდებულებიდან, ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ. ეს საკმაოდ ვრცელი თემა, შევეცადე, მოკლედ გადმომეცა.

სწავლის პროცესში დავაგროვე ინფორმაცია იაპონური ტრადიციების შესახებ. ვკითხულობდი ლიტერატურას, ვაგროვებდი ინფორმაციას, ვეცნობოდი ფილმებს, ინტერნეტით ვეძებდი მასალებს. მიხარია, რომ პირველმა კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობა მივიღე, წარმატება მომიტანა, წამახალისებელმა ფულადმა პრემიამ მეტი სტიმული მომცა იმისთვის, რომ მომავალშიც ვეცადო საკონფერენციო თემის ისე გაკეთებას, რომ გავიმარჯვო.

ამ გამარჯვებამ სტიმული მომცა

ნათია პერანიძე, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ირანის ისტორიის სპეციალობის III კურსის სტუდენტი:

– კონფერენციაზე გამოსვლა ერთერთმა ორგანიზატორმა დათო რეკვავამ შემომთავაზა. თემა ლექტორის, გიორგი სანიკიძის რჩევით დაავამუშავე.

ამ გამარჯვებამ სტიმული მომცა – ვიმუშაო, ახალი თემა დავწერო და კვლევა გავაგრძელო. აღებულ თანხას, ალბათ, შევინახავ. ეს ჩემი პირველი დამსახურებული ანაზღაურებაა.

მთავარია სტუდენტმა იაქტიუროს

დათო რეკვავა, სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე:

– ეს პროექტი პირველად 2005 წელს განვახორციელე. იმ დროს სტუდენტური კლუბის წევრი ვიყავი. მაშინ კონფერენციაში სასულიერო სემინარიის სტუდენტები მონაწილეობდნენ. წელს მოსწავლეებიც ჩავრთე.

ჯემშიდ გიუნაშვილი

ვფიქრობ, პროექტმა გაამართლა. მომავალში ჩვენს დეპარტამენტს სხვადასხვა სპეციალობაში 5 სამეცნიერო კონფენერენციის ჩატარება ევალება. მიღებული გამოცდილება დამეხმარება, კიდევ უფრო საინტერესო ღონისძიებები მოვაწყო.

კონფერენციის ჩატარებაში დიდი დახმარება უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ გაგვიწია. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ თუ სტუდენტი აქტიურია, მას საკუთარი შესაძლებლობების უნივერსიტეტის კედლებში რეალიზება შეუძლია.

მეორეხარისხოვანი „სხვაგან სამსახური“ უნდა იყოს და არა თსუ-ში საქმიანობა

რა პრობლემები გამოიკვეთა მიმდინარე სასწავლო წელს

მე-3 გვერდიდან

რეგისტრაციის პირობები გარკვეულ სიძნელეს ქმნიდა და ზოგიერთი სტუდენტისთვის დღესაც ქმნის. დიდმა ნაწილმა გაიგო, რა და როდის უნდა გააკეთოს, მაგრამ ნაწილი, განსაკუთრებით, მესამე-მეოთხეკურსელები, ვინც სწავლისადმი სხვაგვარ დამოკიდებულებას იყო ჩვეული, ახლა შეწუხდნენ, როდესაც გამოცდები მოახლოვდა.

წელს რეგისტრაცია ძალიან გაიწელა. ეს იყო სერიოზული პრობლემა, რომელიც თითქმის მთელი სემესტრის განმავლობაში გამოგვყვა და ზოგიერთი სტუდენტისთვის ბევრი გაურკვევლობა შექმნა. რეალურად ამ ეტაპზე აუდიტორიების სიმცირის პრობლემა გვაქვს. 24 ძირითადი და 26 დამატებითი პროგრამა მოქმედებს, 4000-მდე სტუდენტი გვყავს, ვეძებთ აუდიტორიებს. მომავალი სასწავლო წელი, ამ მხრივ, უკეთესი უნდა იყოს.

წლევანდელმა სასწავლო წელმა დაგვანახა, რომ სტუდენტი შეიცვალა. სასწავლო პროცესში უფრო მომთხოვნი გახდა. შეიცვალა მათი დამოკიდებულება როგორც ლექტორების, ასევე საკუთარი თავის მიმართ“.

ჩვენი სასწავლო პროგრამები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება

ირინე დარჩია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

– „უნივერსიტეტში ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტები თვისობრივად ახალი, რეფორმირებული პროგრამით სწავლობენ, მაგრამ ეს პროგრამა ჯერ კიდევ არ არის იდეალური, ვინაიდან ახალი ტიპის პროგრამის ფორმირება დროს მოითხოვს და ეს პროცესი ერთი ხელის მოსმით არა თუ ჩვენთან, ევროპაშიც არ ხორციელდება. ამ ეტაპზე, თავად ის ფაქტი, რომ სტუდენტებს შევთავაზეთ ახალი პროგრამა, უკვე მშვენიერი შედეგია.

პროგრამებში მოხდა საათების ოპტიმიზაცია, ანუ საათები ორიენტირებულია არა ლექტორის დაიტვირთვაზე, არამედ სტუდენტის ინტერესებზე – მას უნდა ვასწავლოთ არა ის საგნები, რომლებიც პედაგოგების საათობრივ დატვირთვას უზრუნველყოფს, არამედ ის, რომელიც რეალურად სჭირდება სათანადო ცოდნის მისაღებად.

ჩვენი პროგრამები აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაზე, ამასთან ვცდილობთ, ისინი დაფუძნებული იყოს, ერთი მხრივ, სწავლის შედეგებზე და მეორე მხრივ, სტუდენტებისათვის იმ უნარებისა და ცოდნის მიწოდებაზე, რომელიც მათ შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანს გახდის.

სასწავლო წლის მთავარი მიღწევა არის ის, რომ თსუ-ის რექტორი, ბატონი გიორგი ხუბუა კიოლნის უნივერსიტეტს შეუთანხმდა და მომავალი წლიდან ჩვენთან ამოქმედდება ერთობლივი პროგრამები იურისპრუდენციაში, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტები ერთობლივ ხარისხს მიიღებენ, ანუ ისწავლიან თსუ-ში, მაგრამ მიიღებენ როგორც თსუ-ის, ასევე კიოლნის უნივერსიტეტის აკადემიურ ხარისხს. ლექციებს წაიკითხავენ თსუ-ისა და კიოლნის უნივერსიტეტების ლექტორები. ერთობლივი პროგრამები გვაქვს ფრანკფურტის, ბერლინის, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტებთან და მასაჩუსეტსის შტატის ბიჩვოქერის სახელმწიფო კოლეჯთან. მზადდება ხელშეკრულება კალიფორნიის უნივერსიტეტთან ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით.

თუ პირველ და მეორე სემესტრებს შევადარებთ, მეორე სემესტრი უფრო ორგანიზებულად წარიმართა. პირველ სემესტრში პრობლემა აკადემიური რეგისტრაციის გაჭიანურება იყო, სტუდენტებმა საგნები გვიან აირჩიეს და, აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი სათანადოდ ვერ წარიმართა, რაც 2006-2007 სასწავლო წლების მთავარ ხარვეზად მიმაჩნია.

რაც შეეხება იმას, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც კითხულობს ლექციებს, ამ ეტაპზე მისაღებია, რადგან მათ უნივერსიტეტში ნორმალური ხელფასები არ აქვთ. ეს გადასაწყვეტი საკითხია და მომავალში ანაზღაურება უსათუოდ გაიზრდება, რათა ლექტორებს მეტი მოტივაცია და დაინტერესება ჰქონდეთ. თუმცა, აკადემიური პერსონალის მიმართ უნივერსიტეტმაც უნდა გაამკაცროს მოთხოვნები. მესმის, რომ დაბალი ხელფასი საკმაოდ ძლიერი მიზეზია, მაგრამ მუშაობა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება თსუ-ის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ვინც იძულებულია სხვაგან იმუშაოს, მისთვის სწორედ „სხვაგან სამსახური“ უნდა იყოს მეორეხარისხოვანი და არა თსუ-ში. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მიუხედავად ამ პრობლემებისა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორობა პრესტიჟული და პრიორიტეტულია. ვინც ასე არ მიიჩნევს, უახლოეს პერიოდში არჩევანის გაკეთება მოუწევს.

სექტემბრიდან ვიწყებთ ჩვენი აკადემიური პროგრამების საერთაშორისო ექსპერტიზას, ანუ უცხოელი ექსპერტები შეამოწმებენ ჩვენს სასწავლო პროგრამებს, გამოთქვამენ აზრს, გაგვიზიარებენ კომპეტენტურ მოსაზრებებს, მოგვცემენ რჩევებს, რომლებსაც მომავალში გავითვალისწინებთ.

პროგრამების შემუშავებაში უცხოელი ექსპერტების მონაწილეობა ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი და გარანტიაა იმისა, რომ ჩვენი სასწავლო პროგრამები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება.

დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტის პროგრამები, მიუხედავად იმისა, რომ იდეალური არ არის, სხვა უნივერსიტეტების პროგრამებთან შედარებით გაცილებით უკეთესია. ისინი აწარმოებენ პიარკამპანიებს, რაც სინამდვილეში საფუძველს მოკლებულია. როდესაც ჩვენს პროგრამებთან დაკავშირებით უცხოელი ექსპერტების დასკვნები ხელთ გვექნება, ეს ჩვენი სავიზიტო ბარათი გახდება – რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სწავლება გვაქვს“.

პრესრელიზი

„საქართველოს საკარიერო სერვისი – CSG“ მუშაობას იწყებს

27 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - **„საქართველოს საკარიერო სერვისი - CSG“** ოფისის პრეზენტაცია გაიმართა. სერვისი (CSG) „სამშობლოში უკან დაბრუნებული პროფესიული კადრების პროგრამის ფარგლებში (PRF)“ განხორციელდება. ღონისძიებაზე სახელმწიფო უნივერსიტეტსა და განვითარებისა და პროფესიონალთა სამუშაო ჯგუფს (AGEF) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

პროგრამა განხორციელდება გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების სამინისტროს (BMZ) დაფინანსებით და მხარდაჭერით, რაზეც პასუხისმგებელობას იღებს საერთაშორისო მიგრაციის ცენტრი (CIM), ხოლო საქართველოში საკონსულტაციო მუშაობას წარმართავს განვითარებისა და პროფესიონალთა სამუშაო ჯგუფი (AGEF).

„სამშობლოში უკანდაბრუნებული პროფესიული კადრების პროგრამის“ მიზანია შესაბამისი სამუშაო ადგილის მოძიებაში დაეხმაროს იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გერმანიაში სხვადასხვა მიმართულების განათლება მიიღეს ან საქართველოში განათლების მიღების შემდეგ კვალიფიკაცია გერმანიაში აიმაღლეს და სურვილი აქვთ, მიღებული განათლება სამშობლოში ეფექტიანად გამოიყენონ.

ოფისის მუშაობის ძირითადი პრინციპია შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების მოძიება, საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება და ბიზნესსექტორთან ვაკანსიების და დასაქმების მსურველთა ბაზის შექმნა და განახლება, ინტენსიური მუშაობა როგორც გერმანიაში მყოფ ქართველ პროფესიულ კადრებთან, ისე უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

ამჟამად გერმანიაში სწავლობს დაახლოებით 3300 ქართველი სტუდენტი, რომელთაც შეუძლიათ მიღებული ცოდნა, გამოცდილება, პროფესიული უნარები და საერთაშორისო კავშირები ქვეყნის განვითარებისთვის ეფექტიანად გამოიყენონ.

პროგრამა PRF საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც წარმატებით მოღვაწეობს მსოფლიოს 23 ქვეყანაში. მისი მიზანია მსგავსი სერვისის (**„საქართველოს საკარიერო სერვისი - CSG“**) არსებობით წვლილი შეიტანოს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ წინსვლაში.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სლოვაკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის ოლგა ალგაიროვას ვიზიტი უნივერსიტეტში

27 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სლოვაკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ოლგა ალგაიროვა ეწვია. პროფესიით ეკონომისტმა „სლოვაკეთის ბიზნესის შესაძლებლობების“ თემაზე თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის საჯარო ლექცია წაიკითხა. „უახლოეს მომავალში სლოვაკეთის მთავრობა ქართველი სტუდენტებისათვის სტიპენდიების გამოყოფას გეგმავს, ასევე, მიმდინარეობს დიალოგი სტუდენტების გაცვლითი პროგრამის გაფართოების პერსპექტივაზე“, – აღნიშნა შეხვედრაზე უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მეცნიერებაში სპორტსმენი ვიყავი

შეხვედრა აშშ-ის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორთან, პეტრე პრივალოვთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ამერიკის შეერთებული შტატების ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორს, თანამედროვეობის ერთერთ უდიდეს ბიოფიზიკოსსა და ბიოლოგიური სტრუქტურის ენერგეტიკული საფუძვლების ერთერთ ფუძემდებელს, პეტრე პრივალოვს უმასპინძლა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მიიღო.

„მოხარული ვიქნები, თუ უნივერსიტეტს რამეში კი არ დავეხმარები, არამედ გამოვადგები“, — განაცხადა ბატონმა პრივალოვმა რექტორთან შეხვედრისას, რომელზეც საუბარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მის მომავალ თანამშრომლობას შეეხო.

მაია ტორაძე

„ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობა ადვილი არ იყო — 11 საათზე ბუფეტი იხსნებოდა, 12-ზე მწვადები იწვებოდა, შემდეგ ფეხბურთისთვის უნდა ეყურებინათ... საღამოს, როგორც წესი, შაში უნდა ეთამაშათ, მოკლედ, ძნელი იყო მუშაობა — თუ მუშაობდი, ესე იგი, თეთრი ყვავი იყავი... საკანდიდატო რომ დავიცავი, ყველას უკვირდა, რაღას მუშაობს, მეტი რა უნდაო“ — ეს არის 50-იანი წლების ქართული სამეცნიერო საზოგადოების სურათი, რომელიც აკადემიკოს პეტრე პრივალოვის მეხსიერებას შემორჩა და ჩვენი საზოგადოების მთავარ ნაკლს — დაკისრებული მოვალეობისადმი ზერელე დამოკიდებულებას ნთლად ასახავს.

თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერი, ბიოფიზიკის ერთერთი პატრიარქი და ბიოენერგეტიკის, როგორც სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებელი, აკადემიკოსი პეტრე პრივალოვი ქართველების ამ და სხვა თვისებებსაც კარგად იცნობს. ის 1932 წელს დაიბადა თბილისში, საოპერო მომღერლის ლეონიდ პრივალოვისა და მხატვარ ნინო ბრაილოვსკაიას ოჯახში. განათლებაც აქვე მიიღო — წარჩინებით დაასრულა ჯერ მე-7 ვაჟთა სკოლა, შემდეგ კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.

ბატონი პეტრე სკოლის წლებს და ბავშვობის მეგობრებს თბილად იხსენებს:

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე. გამიმართლა, რომ არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდა: ვარდიაშვილი, პარკაძე, თოთიბაძე, ყაზახაშვილი, რომელთაც საფუძვლიანი ცოდნის მოცემისთვის ვემადლიერები.

ძალიან მიყვარდა პიონერთა სასახლე, სადაც კარგი წრეები მუშაობდა — ავიაკონსტრუქტორების, რადიო და ფიზიკის კაბინეტები. სადაც შეიძლებოდა, ყველგან შევედი, მათ შორის, ტურისტულ წრეშიც. ჩვენი ხელმძღვანელები მზია ერისთავი და ალექსანდრა ჯაფარიძე იყვნენ. ამ წრეში გაერთიანებულ პატარა ტურისტებთან ერთად საქართველო ფეხით მოვიარე.

მთელი ცხოვრება სიამოვნებით ვიხსენებ ამ წლებს. ხომ იცით, მეგობრების შეძენა მხოლოდ სკოლაშია შესაძლებელი, მერე მხოლოდ ნაცნობებს იძენ, ამიტომ ყველა ჩემი მეგობარი სკოლიდან მოდის — თამაზ ნათიძე (არქიტექტორი), გუგა ზაქარიაძე — სერგო ზაქარიაძის შვილი, რომელიც მოსკოვში ჩემი მეზობელია და ხშირად ერთად ვართ, ალიკ ნიუარაძე, გოგი ვაჩნაძე, ჩემს კლასში სწავლობდნენ ასევე ცნობილი მწერლები ამირან ჭიჭინაძე და ოთარ ჭილაძე.

ბატონი პეტრე მეცნიერებამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გაიტაცა, რასაც ობიექტურმა მიზეზებმა შეუწყო ხელი — გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში რევოლუციური ძვრები მოხდა ცილებისა და ნუკლეინის მჟავების სივრცული სტრუქტურის შესწავლაში (ნუკლეინის მჟავები ყველა ცოცხალი ორგანიზმის აუცილებელი კომპონენტია და არსებით როლს ასრულებს ცილის ბიოსინთეზსა თუ ორგანიზმის მემკვიდრეობითი თვისებების გადაცემაში).

1953-1954 წლებში უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელთა ერთი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში პრივალოვიც შედიოდა, ამ საკითხით დაინტერესდა. წარმოიშვა იდეა, ბიოპოლიმერების სტრუქტურის დადგენის პრობლემა თერმოდინამიკური პოზიციებიდან განეხილათ, ხოლო კალორიმეტრია იქნებოდა ამ იდეის განხორციელების ერთერთი საუკეთესო მეთოდი. იდეამ ელეფთერ ანდრონიკაშვილიც გაიტაცა. სწორედ მან აიყვანა ასპირანტად პერსპექტიული ახალგაზრდა ფიზიკოსი პეტრე პრივალოვი, რომელმაც მუშაობა კალორიმეტრიაში დაიწყო.

ბატონი პეტრე იხსენებს, რომ თავდაპირველად კვლევები არც ისე წარმატებით მიმდინარეობდა, რადგან მის ხელთ არსებული კალორიმეტრების მგრძნობელობა არ იყო საკმარისი. მაშინ გაჩნდა იდეა — შეექმნა მიკროკალორიმეტრი, რომლის მგრძნობელობა 10000-ჯერ მეტი იქნებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი კალორიმეტრებისა. ეს იდეა მალევე განხორციელდა. პრივალოვმა შექმნა უნიკალური ექსპერიმენტული ხელსაწყო — მასკანირებელი დიფერენციალური მიკროკალორიმეტრი და ასეთივე სახელწოდების მეთოდი. ამ ჯგუფმა შექმნა დაემზირა „შიგამოლეკულური ფაზური გადასვლები“ ბიოლოგიურად მნიშვნელოვან მაკრომოლეკულებში, როგორებიცაა ცილები, ნუკლეინის მჟავეები და სხვა.

პეტრე პრივალოვი, ასპირანტურის დამთავრების და დისერტაციის დაცვის შემდეგ მოსკოვში გადავიდა და მონაწილეობა მიიღო ცილის ინსტიტუტის ორგანიზებაში. ცოტა ხანში კი სათავეში ჩაუდგა ცილის თერმოდინამიკის ლაბორატორიას. ამავე პერიოდში დაიწყო მის მიერ შექმნილი მიკროკალორიმეტრის სერიული წარმოება, რომელიც მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის, აშშ-მა, იაპონიამ და გერმანიამ შეისყიდა და დღესაც წარმატებით გამოიყენება მეცნიერულ კვლევებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1978 წელს პეტრე პრივალოვს, აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილთან და ინჟინერ ე. პლოტნიკოვთან ერთად, სახელმწიფო პრემია მიენიჭა ბიოპოლიმერების კვლევის ახალი ხერხის — დიფერენციალური მიკროკალორიმეტრიის მეთოდის შემუშავებისთვის. ეს მეთოდი დღესაც ყველა სერიოზულ სამეცნიერო ლაბორატორიაში გამოიყენება. ამან გამოიღო ის შედეგი, რომ მსოფლიოს ბევრ წამყვან ლაბორატორიაში დაიწყო ბიოლოგიური ობიექტების თერმოდინამიკური კვლევების ბუმი. ამ პერიოდში ბატონი პეტრე პრივალოვი და მისი ჯგუფი ცილის ინსტიტუტში, პუშჩინოში (მოსკოვის გარეუბანი) ქმნის ბიოპოლიმერებში სტრუქტურული გადასვლების თერმოდინამიკურ თეორიას, რომელსაც ბევრი ცნობილი მეცნიერი დღესაც წარმატებით იყენებს. ამიტომ, ნებისმიერი ლაბორატორია, რომელიც ბიოლოგიური ორგანიზმების სტრუქტურას სწავლობს, გვერდს ვერ უვლის პეტრე პრივალოვის მიერ შემუშავებულ თეორიას, რის გამოც მისი ციტირების ინდექსი 15 000-ზე მეტია.

ამ ფაქტს თავად მეცნიერი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და მიაჩნია, რომ მისი წარმატება მხოლოდ იმის დამსახურებაა, რომ ფოკუსირება მეცნიერების ერთი მიმართულებით მოახდინა და ამ მიმართულების — ბიოენერგეტიკის განვითარება შეძლო. კითხვაზე, თუ რამდენად არის ბიოლოგიური სტრუქტურის ენერგეტიკული საფუძვლები გამოკვლეული, პეტრე პრივალოვი, მართლაც, მეცნიერულ პასუხს იძლევა:

— არის ორი კოსმოსი — მიკროკოსმოსი და მაკროკოსმოსი. მაკროკოსმოსი არის სამყარო ჩვენს ზემოთ (UNIVERS), მიკროკოსმოსი კი — ადამიანი. სამწუხაროდ, ჩვენ ვერასოდეს ამოვიცნობთ საკუთარ თავს ბოლომდე — რაც უფრო ღრმად ვიჭრებით საკუთარი ორგანიზმის შეცნობისკენ, მით უფრო ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. ჩვენს ცდებს გარკვეული მიღწევები და პრაქტიკული დანიშნულება, ცხადია, ექნება, მაგრამ ცხოვრების მიზანს და კოსმოსის საფუძვლებს ვერასოდეს გავიგებთ...

აქამდე გვეგონა, რომ მაკროკოსმოსის შესახებ რაღაც ვიცოდით, ახლა აღმოჩნდა, რომ ვარსკვლავები, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, მხოლოდ 5 პროცენტია იმისა, რაც სამყაროში არსებობს. დარჩენილი 95 პროცენტის შესახებ არავინ არაფერი იცის... ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრება და მეცნიერული კვლევები რთულდება — ადრე იყო ცილები და დნმ, ახლა გამოჩნდა რნმ, უფრო პატარა მოლეკულა სატრანსპორტო რნმ-ის სახით, მათ შორის უკუკავშირი... როგორ წარმოიშვა ეს ყველაფერი, არავინ იცის... სამყაროს წარმოშობის შესახებ წარმოქმნილი ყველა თეორია ამაოა და სერიოზულ ყურადღებას არ იმსახურებს. მოსაზრება, რომ შეიქმნა რაღაც კოაგულატები, რომელიც თანდათან ვითარდებოდა, თავშივე მცდარია, რადგან ბიოლოგიური სისტემა არ შეიძლებოდა თანდათან განვითარებულიყო. უჯრედი რაღაც სხვა მიზეზით და მეთოდით შეიქმნა. კოსმოსი და ბიოლოგიური მიკროკოსმოსიც ერთი დიდი უსასრულობაა — რაც უფრო ღრმად ვიჭრებით, მით უფრო რთულდება საკვლევი ობიექტი. გადასადგმელია მილიონი ნაბიჯი, ჩვენ ჯერ მხოლოდ ერთი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული.

მეცნიერული აღმოჩენა — ეს უფლის საჩუქარივითაა...

პროფესორი პრივალოვი 90-იანი წლების დასაწყისში პროფესორმა ჯონ ჰოპკინსმა ამერიკაში მიიწვია და დღემდე იქ მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ საუბარში ხშირად ახსენებს მოახლოებულ საპენსიო ასაკს, ახალგაზრდული აზარტით აგრძელებს კვლევებს და ნაკლები ენთუზიაზმით საუბრობს სალექციო კურსებზე, რომელიც არასოდეს ხიბლავდა

— „არ მიყვარს ლექციების კითხვა. მე მეცნიერული კვლევები და ძიებანი მომწონს, მაგრამ მაინც მიმყავს კურსი ბიოლოგიური მაკრომოლეკულების სტრუქტურის შესახებ, რაც ჩემთვის სასჯელია", აცხადებს იგი. კითხვაზე, რა როლს თამაშობს პიროვნული თვისებები მეცნიერულ კარიერაში, პრივალოვი მკაცრად ჩამოყალიბებულ ფორმულას გვთავაზობს:

— მეცნიერებაში მომუშავე ადამიანს უნდა შეეძლოს ერთ წერტილზე ყურადღების ფოკუსირება ისე, როგორც ლაზერის სხივს, რადგან მეცნიერული აღმოჩენა — ეს არის შედეგი ხანგრძლივი დაკვირვებისა, რომლის შემდეგაც აბსტრაქტული იდეები წარმოიშობა. ადამიანს, ხშირად, ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც ემართება ასე — დიდხანს ვერ ხსნის ამოცანას, ხანგრძლივად ფიქრობს მასზე და დილით უეცრად აღმოაჩენს, რომ ამ პრობლემაზე ან ამოცანაზე პასუხი იცის... ასეა მეცნიერებაშიც — ერთ თემაზე დიდი ხნის ფოკუსირების შემდეგ პასუხი საიდანღაც თავისთავად მოდის. ეს ინტუიციაა. თუ ადამიანს არ აქვს ფოკუსირების უნარი და ინტუიცია, შეიძლება მეცნიერული სტატიები წეროს, გადმოწეროს და დაიმოწმოს ციტატები, მაგრამ ახალს ვერაფერს შექმნის. მეცნიერული აღმოჩენა — ეს უფლის საჩუქარივითაა... და კიდევ, მკვლევარს მსუბუქი ხელი უნდა ჰქონდეს. ალბათ, თქვენც შეგხვედრიათ ადამიანები, რომლებმაც თესლი მიწაში უბრალოდ რომ ჩაფლონ, იხარებს და ყვავილობს, სხვამ კი — ყველა მეცნიერული წესის დაცვითაც რომ დარგოს, არ გაიხარებს. ასეა მეცნიერებაშიც — ზოგიერთი სულ უბრალოდ იღებს ურთულეს ცილას, ზოგს კი არაფერი გამოსდის. ამას ახსნა არ აქვს, ასეთი უნდა დაიბადო...

პროფესორი პეტრე პრივალოვი კარგად იცნობს მეცნიერების ამერიკულ სტრუქტურას და მის დადებით და უარყოფით მხარეებზე საინტერესო დასკვნებს აკეთებს. მისი აზრით, ყველაზე ნიშანდობლივი ისაა, რომ მეცნიერება არ შეიძლება მასობრივი იყოს. ეს ელიტარული საქმიანობაა და ღირებული შედეგების მიღება მხოლოდ ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებულ, მასშტაბური აზროვნების ადამიანებს შეუძლიათ. ამერიკაში ეს კარგად იციან, თუმცა იქაც არის ნაკლი, რასაც ბატონი პეტრე დაუფარავად გვიმხელს:

— რაც უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, მეცნიერების საბჭოთა სისტემას ერთი უზარმაზარი პლიუსი ჰქონდა — პროფესორების გარშემო მეცნიერებით დაინტერესებული ახალგაზრდების ჯგუფი ერთიანდებოდა და იქმნებოდა მეცნიერული სკოლები, სადაც უძლიერესი სამეცნიერო ჯგუფები ყალიბდებოდა.

თქვენ იცით, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში მეცნიერება, ფაქტობრივად, მოსპეს — მოაზროვნეთა დიდი ნაწილი საკუთარ შესაძლებლობებს ან ვერ აჩენდა, ან ემიგრაციაში გაიქცა, ან დახვრიტეს. მიუხედავად ამისა, სულ რაღაც 20 წელიწადში, საბჭოთა მეცნიერება გაუწონასწორდა ამერიკული მეცნიერების დონეს. უფრო მეტიც, 70-იან წლებში ზოგიერთ მიმართულებაში, განსაკუთრებით, ფიზიკაში, მსოფლიოში ყველაზე მაღლა იდგა.

ამერიკაში სხვა სისტემაა — პროფესორის გარშემო არავითარი ჯგუფები არ არსებობს. პროფესორი ერთია, მასთან სულ რაღაც 4 წლით მუშაობენ სტუდენტები და ასპირანტები, რომლებიც ისე მიდიან, რომ ჩამოყალიბებას ვერ ასწრებენ. ეს სისტემა პროფესორს ნამდვილად აძლევს გაზრდის საშუალებას, მაგრამ ახალგაზრდას — არა.

ამერიკულ მეცნიერებას ფიქსირებული ბიუჯეტი არ აქვს, რის გამოც მეცნიერმა დროის ნახევარი გრანტების წერას უნდა დაუთმოს. ვფიქრობ, რომ ფიქსირებული ბიუჯეტი მეცნიერების განვითარებისთვის სულაც არ არის ცუდი — მუშაობ და სხვა საკითხებზე არ ფიქრობ. თუ რაიმე მნიშვნელოვანი აღმოჩენა ან სიახლე გაქვს, დამატებით გაძლევენ თანხას. მაგალითად, მე თავიდან მიკროკალორიმეტრი კუსტარული წესით დავამზადე, როცა მიხვდნენ, რომ ეს მნიშვნელოვანი იყო, სახსრები მისი სერიული წარმოებისთვის გამომიყვეს. ამერიკა ამ ხელსაწყოებს ჩვენგან ყიდულობდა.

მე ვიცი, რომ საქართველოს მეცნიერება ამ სისტემაზე აგებს თავის მომავალს, მაგრამ ეს ძალიან ფრთხილად უნდა გაკეთდეს — თუ მეცნიერთა ძალიან პატარა პროცენტი მიიღებს დაფინანსებას, პროფესურა იძულებული იქნება, იჯდეს და გრანტებისთვის პროექტები წეროს. თანაც დააკვირდით — პროექტი რომ დაწერო, წინასწარ შედეგები უნდა გქონდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ახალი კი არა, ძველი, გადამუშავებული იდეაა, ასეთ იდეაზე ფულს ვერ მიიღებ. მეცნიერება კი მაშინაა მეცნიერება, როცა შენ არ იცი, რა შეიძლება აღმოაჩინო — თუ იცი, რა შედეგს მიიღებ, ეს უკვე აღმოჩენა არ არის. ჰუმანიტარულ მეცნიერებაში შეიძლება წინასწარ დაწერო პროექტი, რომ ამას და ამას გააკეთებ, მაგრამ ფიზიკაში ეს შეუძლებელია.

პროფესორის გრანტის წერაზე დახარჯული დრო ხშირად დაკარგულია — კომისიის დასკვნით, ის ან იღებს გრანტს, ან არა. ამ დროში კი, თუ ის მართლა მეცნიერია, შეიძლება რამე სასარგებლო აღმოჩენა გაეკეთებინა. ძალიან ძნელია ზუსტად მიხვდე — ვის გამოუყო თანხა — ამიტომ სწორად უნდა შეირჩეს კომისია და ექსპერტები, რომლებიც ამ საკითხს განსაზღვრავენ.

პროფესორ პრივალოვისთვის ლექციის კითხვისას თურმე არსებობს ერთი უტყუარი ტესტი — თვალებში უყურებს იმ სტუდენტს, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ესმის მისი. თუ ლექციის დასასრულს ამ თვალებში საკითხის შეცნობის ნაპერწკალი დაინახა, მისიას შესრულებულად თვლის.

მისი აზრით, ნაპერწკალი მეცნიერის თვალშიც უნდა ენთოს. მისი ჩაქრობა იმას ნიშნავს, რომ მოღვაწეობის სფერო უნდა შეიცვალო:

— მეცნიერებიდან დროზე უნდა წახვიდე, რომ ცარიელ ადგილად არ იქცე. ეს სფერო, ისე, როგორც სპორტი, აზარტია. თუ ეს აზარტი არ არის და ახლის აღმოჩენის მოლოდინში თვალი არ გიელავს, არაფერი გამოგივა. მე მეცნიერებაში სპორტსმენი ვიყავი.

25 ივლისს პროფესორ პეტრე პრივალოვს 75 წელი უსრულდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას ბატონი პეტრე პრივალოვისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების იდეა გაუჩნდა.

ჩვენს საზოგადოებაში მედიაციის კულტურა ფეხს ადვილად მოიკიდებს

უნივერსიტეტში მედიაციის კლინიკა გაიხსნება

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიაციის კლინიკა იხსნება. მომავალი წლიდან არასასამართლო გზით კონფლიქტის დარეგულირების მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ მიმართონ მედიატორებს, რომლებიც პრობლემას მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებით მოაგვარებენ.

რას გულისხმობს მედიაცია?

არსებობს კონფლიქტის გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმი. მათ შორის ერთერთია პრობლემის გადაწყვეტა სპეციფიკური მოლაპარაკების გზით, როცა მხარეებს შორის პრობლემას მედიატორი აგვარებს.

ეს სამსახური აშშ-ის უმეტეს ნაწილში უკვე 20-30 წელია არსებობს და მას არეგულირებს აქტი – მედიაციური სამსახურის სტატუსის შესახებ. ამ შტატებში სამოქალაქო საქმეების 95 პროცენტი, მათ შორის, ოჯახური, მეზობლური და ბიზნესკონფლიქტები, აგრეთვე, ნაკლები სიმძიმის სისხლის სამართლის საქმეები მედიატორის მეშვეობით წყდება. ამას ჰქვია სასამართლო მედიაცია, რომელიც მედიატორული სამსახურის მხოლოდ ერთერთი ფორმაა.

რა უპირატესობა აქვს მედიაციის სამსახურს? – იგი არის კონფიდენციალური, სწრაფი, იაფი და, რაც ყველაზე მთავარია, პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტის საუკეთესო მექანიზმი. ამ გზით მოგვარებული საქმე შემდგომში თითქმის აღარ რთულდება.

არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც მედიატორულ სამსახურს ამერიკაში უამრავი კლიენტი ჰყავს. კერძოდ, ბიზნესკონფლიქტების დროს სასამართლო საქმე ძალიან იწელება და ბევრი დამამტკიცებელი საბუთი სჭირდება. მედიაციის პროცესი კი არავითარ საბუთს არ ითხოვს, აქ მთავარია, მხარეები მორიგდნენ.

სწორედ ასეთ სამსახურს და მომსახურების ფორმას ჩაუყარა საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის კათედრამ, რომელსაც 1998 წლიდან ინტენსიური კონტაქტი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა უნივერსიტეტთან.

ამ კათედრის ინიციატივითა და ძალისხმევით, 2002-2005 წლებში თბილისის უნივერსიტეტმა ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტთან ერთად მოიპოვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტი, რომლის ფარგლებშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა კონფლიქტოლოგიის ცენტრი და შემუშავდა სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მაგისტრებს კონფლიქტის ანალიზსა და გადაწყვეტაში ამზადებს. პროგრამა მთლიანად შეესაბამება ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზისა და გადაწყვეტის ინსტიტუტის ანალოგიურ კურსს, რაც აადვილებს სტუდენტთა და მაგისტრანტთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრს ორი გამოშვება უკვე ჰქონდა. მისი კურსდამთავრებულები წარმატებით მუშაობენ კონფლიქტების ანალიზზე სახელმწიფო მინისტრის აპარატში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, სხვადასხვა არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებში.

ცენტრმა, ამჯერად, აშშ-ის დენვერის უნივერსიტეტთან ერთად კონკურსში „პარტნიორობა უნივერსიტეტებს შორის“ მოიპოვა სამწლიანი გრანტი, რომლის ფარგლებშიც 2006-2009 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიაციის კლინიკა შეიქმნება.

გასული წლის დეკემბერში დენვერის უნივერსიტეტის დელეგაცია თბილისს უკვე სტუმრობდა. ამჯერად გაცნობითი ხასიათის საპასუხო ვიზიტით ამერიკაში იმყოფებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია პროფესორ გუგული მაღრაძის, ასოცირებული პროფესორის – რევაზ ჯორბენაძისა და ასისტენტ-პროფესორის – მედეა დესპოტაშვილის შემადგენლობით.

გუგული მაღრაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი:

– კოლორადოს შტატში საპასუხო ვიზიტის ფარგლებში გავეცანით თითქმის ყველა დონის სასამართლო მედიაციას და მედიატორული სამსახურის მუშაობას სკოლებში, დაწესებულებებსა და სათემო ორგანიზაციებში.

პროგრამის მიხედვით, დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტთან ერთად, მოვამზადებთ კურიკულუმს, დავწერთ თეორიულ და მეთოდურ სახელმძღვანელოებს მათთვის, ვისაც მედიაციაში მუშაობა უნდა. დენვერის დელეგაცია მომავალი წლის გაზაფხულზე ჩამოვა და გაეცნობა ჩვენ მიერ გატარებულ ღონისძიებებს. მათთან ერთად შემუშავდება მედიატორთა სერტიფიცირების წესი. ამ დროისთვის დაგეგმილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიაციის კლინიკის გახსნაც.

სამუშაო სპეციფიკის გაცნობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს საზოგადოებაში მედიაციის კულტურა ფეხს ადვილად მოიკიდებს, რადგან შუამავლების და უხუცესების ისტორიული ტრადიცია ხელს გვიწყობს. ქართული მენტალიტეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნათესაურ კავშირებსა და მეგობრობას, ამდენად, მედიატორული მორიგება გაცილებით მისაღებია, რადგან პრობლემა სასამართლო განხილვის საგანი არ ხდება და გაცილებით ვიწრო წრეში წყდება.

მედიაციური ჩარევის შემდეგ არ არსებობს მოგებული და წაგებული მხარე. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ასეთი სამსახურის შექმნა სკოლებსა და დაწესებულებებში, სადაც ადამიანებს ერთმანეთთან ან ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში პრობლემები აქვთ.

მედიაცია ამერიკული ინსტიტუტია და რადგან ჩვენი სასამართლო სისტემა ცდილობს, ბევრი რამ აიღოს ამერიკული მოდელიდან, ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ მეზობლური და ოჯახური დავების, ბიზნესკონფლიქტების, ორგანიზაციის შიგნით არსებული უთანხმოების მოგვარებისთვის მედიატორულ სამსახურს გამოვიყენებთ.

მედიატორული სამსახურის წარმატებული ფუნქციონირებისთვის, ცხადია, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები უნდა გვყავდეს. კონფლიქტის მედიაციის გზით მოგვარება არ არის იოლი პროცესი, რადგან მედიატორს უზარმაზარი გამოცდილება და ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება სჭირდება. ამისთვის მან უნდა გაიაროს სპეციალური მოსამზადებელი და პრაქტიკული კურსები, რომლის შემდეგაც სათანადო სერტიფიკატი მიეცემა.

თსუ-ის დელეგაციის წევრები დენვერის უნივერსიტეტის კანცლერთან გრეგ კვისტადთან და კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორთან ტამრა დესტრესთან

ამ მიზანს ემსახურება სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც ჩვენ პროექტის ფარგლებში სამი წლის განმავლობაში განვახორციელებთ. პროგრამა ითვალისწინებს უნივერსიტეტში მედიაციის კლინიკის გახსნასაც. კლინიკა მოაგვარებს უნივერსიტეტის შიგნით არსებულ პრობლემებს და გამოაცხადებს მიღებას იმ ადამიანებისა და ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც სურთ კვალიფიციურმა მედიატორმა გადაუწყვიტონ პრობლემები.

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში დიდი ნაწილი სწორედ მედიატორების მომზადებას ეთმობა. გარდა ამისა, ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეეძლება ამ სასწავლო პროგრამაში ჩართვა და გამოცდილ მედიატორებთან პრაქტიკის გავლა, რის შემდეგაც სათანადო სერტიფიკატს მიიღებს.

ამ ეტაპზე ვცდილობთ დავსვათ საკითხი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე, რომ სკოლებში მედიატორული სამსახური გაიხსნას. შეგახსენებთ უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორეს სიტყვებს: – ,,როცა სკოლაში ბავშვებს შორის შელაპარაკება და კონფლიქტი მოხდება, ისინი სკოლიდან არ უნდა გაუშვა ისე, რომ არ შერიგდნენ. ამიტომ დაპირისპირებულ მოზარდთა შერიგებისთვის საჭიროა სპეციალისტის მუშაობა".

ვცდილობთ, პარლამენტშიც გავიჩინოთ თანამოაზრეები, რომ რაღაც ფორმით საკანონმდებლო ორგანოში მედიატორული სამსახურის სტატუსის შესახებ ინიციატივა შევიდეს.

კულტურათა დიალოგი საკითხის გადაჭრის აკადემიური და მშვიდობიანი გზაა

შურთხია გეროშვილი

კულტურათა დიალოგის პრობლემა მნიშვნელოვანია კავკასიისთვის, როგორც მრავალკულტურული და მრავალეთნიკური რეგიონისთვის, სადაც კულტურათა და რელიგიათა თანაარსებობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საქართველო ყოველთვის მოიაზრებოდა ინტერკულტურული დიალოგის ცენტრად, თუმცა, დროთა განმავლობაში, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მან ეს ფუნქცია ნელ-ნელა დაკარგა. ამის ერთერთი სერიოზული მიზეზი იმპერიული რუსეთის არასწორი პოლიტიკა იყო, რომელსაც არ აწყობდა კავკასიის ერთიანობა და ამ რეგიონში დესტაბილიზაციის მოწყობის მიზნით ყოველ ღონეს ხმარობდა.

გაეროს ეგიდით შექმნილი ინტერკულტურული კათედრები უკვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს, ისინი ერებს შორის კულტურული დიალოგის და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისათვის იღწვიან. ინტერკულტურული დიალოგის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წელს დაარსდა. მის შექმნას წინ ორწლიანი მოსამზადებელი სამუშაო უძღოდა.

21-22 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრისა და იუნესკოს ეროვნული კომისიის მიერ ორგანიზებულ პირველ საერთაშორისო შეხვედრას უმასპინძლა. შეხვედრა იუნესკოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ ინტერკულტურული დიალოგის პრობლემებით დაინტერესებული მკვლევარები და სპეციალისტები სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოდან, ასევე მოლდოვადან, რუსეთის ფედერაციიდან, ყაზახეთიდან. შეხვედრას იუნესკოს კულტურის, პოლიტიკისა და ინტერკულტურული დიალოგის წარმომადგენელი, ბატონი ბერნარ ჟაკო ესწრებოდა, რომელიც კავკასიის საქმეებს კურირებს და მრგვალი მაგიდის მუშაობას უწევს ორგანიზებას. როგორც მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა აღნიშნეს, შეხვედრის ერთერთი მიზანი სამომავლოდ ერთობლივი კვლევების, გამოცემების შესახებ შეთანხმებაა, რაც სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს შორის რეგიონულ და რეგიონთაშორის თანამშრომლობის განვითარებას ხელს შეუწყობს. ეს, თავის მხრივ, შექმნის საფუძველს ინტერკულტურული დიალოგის გაღრმავებისა და განვითარებისთვის.

შეხვედრის მონაწილეებს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მიმართა: „ჩვენ ხშირად აღვნიშნავთ, რომ კულტურა შეიძლება მხოლოდ ინტერკულტურული იყოს. ერის სიძლიერე მისი ღია ხასიათით განისაზღვრება. ქართული კულტურის გადარჩენის ერთერთი წინაპირობა სწორედ მისი მრავალფეროვნება იყო. ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ის ფაქტორი, რომ იგი მზად იყო მიეღო და შეეთავსებინა სხვა კულტურის ელემენტები. დიალოგის კულტურის დეფიციტმა, გარკვეულწილად, კავკასიაში არსებული სირთულეები განაპირობა. ამ რეგიონში, შედარებით მცირე გეოგრაფიულ არეალში, დღესაც უამრავი კულტურა თანაარსებობს. მათ შორის ისტორიულად, დიალოგის თვალსაზრისით, ყოველთვის ჰარმონიული ურთიერთობა არსებობდა. ეს ურთიერთობები დროთა განმავლობაში რუსეთის იმპერიის ჩარევით უარესობისკენ შეიცვალა. დღევანდელი ღონისძიება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ თანაცხოვრება შეგვიძლია. ამ მიმართულებით უნივერსიტეტმაც უნდა გააქტიუროს თავისი საქმიანობა. უახლოეს პერიოდში რამდენიმე პროექტის განხორციელება იგეგმება. ეს იქნება: – აზერბაიჯანოლოგია, ასიროლოგია, ქართველოლოგია. კავკასიის რეგიონში უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის მხრივ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. ამიტომ ამ თვალსაზრისით საქმიანობის გააქტიურება მოგვიწევს. იმედი მაქვს, რომ ეს ღონისძიებაც ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდება,“ – აღნიშნა გიორგი ხუბუამ. მან მადლობა გადაუხადა შეხვედრის ორგანიზატორებს, იუნესკოს საქართველოს ეროვნულ სააგენტოს, იუნესკოს წარმომადგენლებს და სამომავლო გეგმების განხორციელებაში წარმატება უსურვა.

როგორც ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის ხელმძღვანელმა ნინო ჩიქოვანმა აღნიშნა, „თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებას ითვალისწინებს. ჩვენ აკადემიურ და სასწავლო სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობა მოგვეცა. საუბარია ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე, ერთობლივ გამოცემებზე, სასწავლო გაცვლით პროექტებზე, რომელშიც სტუდენტების გარდა პროფესორ-მასწავლებლებიც ჩაერთვებიან“, – განაცხადა მან.

პროფესორმა ცირა ბარამიძემ კავკასიისთვის ინტერკულტურული დიალოგის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი აზრით, „კულტურათა დიალოგი ხელს შეუწყობს კავკასიაში არსებული პრობლემებისა და კონფლიქტების მოგვარებას. კულტურათა დიალოგი საკითხის გადაჭრის აკადემიური და მშვიდობიანი გზაა. ვიმედოვნებ, შემდგომში იგი უფრო გაფართოვდება. 2007 წლის ოქტომბერში ველოდებით კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესს, სადაც ერთერთი სექცია კულტურათა ანთროპოლოგიის საკითხებზე იმუშავებს“, – განაცხადა ცირა ბარამიძემ.

ღონისძიებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ფოიეში მოეწყო ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის მუშაობის ამსახველი ფოტო-გამოფენა, რომელიც სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მოამზადეს. „თბილისს კვლავ აქვს იმის პერსპექტივა, რომ კავკასიაში ინტერკულტურული ცენტრი გახდეს. ამას ეს ფოტოგამოფენაც მოწმობს“, – განაცხადა ნინო ჩიქოვანმა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ახალი სამაგისტრო პროგრამა – „ევროპული სწავლებები“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წლის მაისიდან მიმდინარეობს Tasis-ისპროექტი: „ევროპული სწავლებების ინსტიტუტი“. პროექტის მიზანია ახალი სამაგისტრო პროგრამის – „ევროპული სწავლებები“ (European Studies) – შექმნა. პროექტს ევროკავშირი აფინანსებს და პიერ მონდეს ფრანს უნივერსიტეტის (UPMF, გრენობლი, საფრანგეთი) კონსორციუმი ახორციელებს. პროექტის დირექტორია პროფესორი ივან სამსონი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი – პროფესორ-ემერეტუსი ალბან რიშარი, ხოლო პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორი ცირა ჩიკვაიძე.

მაკა ლდოკონენი

26-30 ივნისს ბათუმში პროექტის – „ევროპული სწავლებების ინსტიტუტი“ ფარგლებში მიმდინარეობს სემინარი თემაზე: „სამეზობლო პოლიტიკა და ევროპული სწავლებები უმაღლეს განათლებაში“. სემინარის მიზანია იმ სამაგისტრო პროგრამის საბოლოო სახით ჩამოყალიბება, რომელიც მომავალი აკადემიური წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყება.

პროექტი ითვალისწინებს, ასევე, თსუ-ის ოთხი ფაკულტეტის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა) ბაზაზე ახალი სტრუქტურული ერთეულის – ევროპული სწავლების ინსტიტუტის – ჩამოყალიბებას. ახალი სამაგისტრო პროგრამა სწორედ ამ ინსტიტუტის ეგიდით განხორციელდება.

„ევროპული სწავლებები“ საქართველოში ახალი აკადემიური დარგია. ჩვენ შეგვეძლო მარტივი გზა აგვერჩია და ყოველგვარი ცვლილებების გარეშე გადმოგვეღო რომელიმე დასავლური უნივერსიტეტის გამოცდილება, სადაც ამგვარი პროგრამები დიდი ხანია ხორციელდება, მაგრამ ჩვენთვის სასურველ შედეგს ვერ მივაღწევდით, ანუ არ გვექნებოდა ქართულ მოთხოვნებსა და პრიორიტეტებზე მორგებული პროგრამა“, – განაცხადა ქალბატონმა ცირა ჩიკვაიძემ.

ახალი ინსტიტუტისთვის პედაგოგების შესარჩევად გამოცხადებული იყო სპეციალური, რამდენიმეტურიანი კონკურსი, რომლის შედეგებიც, უახლოეს მომავალში, ოფიციალურად გამოცხადდება.

„ევროპული სწავლებები“ საქართველოში ახალი დარგია, ამიტომ ჯერ არ გვყავს კონკრეტულად სპეციალიზირებული პედაგოგები. ამიტომ, სასწავლო წლის პირველ სემესტრში, რომელიც, სავარაუდოდ, სექტემბერში დაიწყება, ლექციებს უცხოელი სპეციალისტები წაიკითხავენ. პარალელურად უნივერსიტეტის პედაგოგებიც იღებენ მონაწილეობას. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაბმულია მსგავს პროექტში და შემუშავებული აქვს სამაგისტრო პროგრამა ევროპულ სამართალში. მათ იანვარში მიიღეს სტუდენტების პირველი ნაკადი, ამრიგად, ჩვენზე ერთი სემესტრით წინ არიან და გამოცდილებას გაგვიზიარებენ. სემინარის სათაურიდან გამომდინარე სამეზობლო პოლიტიკაზეც ვისაუბრებთ. „ევროპულ სწავლებაში ამგვარ საკითხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ეს კარგად უნდა გაიაზრონ იმ პედაგოგებმა, რომლებიც ჩვენს პროექტში მიიღებენ მონაწილეობას“, – აღნიშნა ქალბატონმა ცირამ.

ახალი ინსტიტუტისთვის პედაგოგების შესარჩევად გამოცხადებული იყო სპეციალური, რამდენიმეტურიანი კონკურსი, რომლის შედეგებიც, უახლოეს მომავალში, ოფიციალურად გამოცხადდება.

„ევროპული სწავლებები“ საქართველოში ახალი დარგია, ამიტომ ჯერ არ გვყავს კონკრეტულად სპეციალიზირებული პედაგოგები. ამიტომ, სასწავლო წლის პირველ სემესტრში, რომელიც, სავარაუდოდ, სექტემბერში დაიწყება, ლექციებს უცხოელი სპეციალისტები წაიკითხავენ. პარალელურად უნივერსიტეტის პედაგოგებსაც გადავამზადებთ“, – განაცხადა პროფესორმა ალბან რიშარმა.

ევროპული სწავლების ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მეოთხე სართულზე განთავსდება. ეს იქნება დიდი სასწავლო ცენტრი ბიბლიოთეკით, სამუშაო კაბინეტებითა და კომპიუტერული ლაბორატორიით. პროექტში „ევროპული სწავლებების ინსტიტუტი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური პარტნიორები არიან თელავისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტები, რომლის სტუდენტები დისტანციური სწავლების მეშვეობით შეძლებენ ახალ სამაგისტრო პროგრამაში ჩართვას. პროექტის ბიუჯეტი დისტანციური სწავლების ოთახების აღჭურვას ითვალისწინებს, როგორც თსუ-ის, ასევე ბათუმისა და თელავის უნივერსიტეტებში.

„თელავისა და ბათუმის უნივერსიტეტების სტუდენტებს საშუალება ექნებათ დისტანციური სწავლების მეთოდის საშუალებით განაცხადი სამაგისტრო პროგრამებზე გააკეთონ. გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს ჩავატაროთ სპეციალური ტრეინინგები პედაგოგებისთვის, თუ როგორ უნდა მომზადდეს კურსი დისტანციური სწავლებისათვის. სამაგისტრო პროგრამა თავიდან ინგლისურ ენაზე განხორციელდება, თუმცა, სამომავლოდ, დაგეგმილია ქართულენოვანი პროგრამის შექმნაც“, – აღნიშნა პროფესორმა ალბან რიშარმა.

პროექტი იმთავითვე ითვალისწინებდა ახალი სასწავლო კურსების ქართულ ენაზე თარგმნასა და პუბლიკაციას, რათა სამაგისტრო პროგრამა გაცილებით ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

„ჩვენ გვაქვს სასწავლო კურსები, მაგრამ არ გაგვაჩნია შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა. რასაც ლექციების სახით უცხოელი სპეციალისტები ჩვენს პედაგოგებსა და სტუდენტებს წაუკითხავენ, ვფიქრობთ მომავალში სახელმძღვანელოების სახით მათ გამოცემას“, – განმარტა ქალბატონმა ცირამ.

ევროპული სწავლებების ინსტიტუტში სტუდენტების მიღება სექტემბერშია დაგეგმილი. მანამდე სამაგისტრო პროგრამები უნდა მოიწონოს და დაამტკიცოს თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ. შემუშავდება და გამოცხადდება ის კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებით მოხდება სტუდენტების მიღება ინსტიტუტში. ერთერთი უმთავრესი მოთხოვნა კი ინგლისური ენის სათანადო ცოდნა იქნება.

ბატონმა ალბან რიშარმა ხაზი გაუსვა დასავლეთის უნივერსიტეტებთან მომავალი თანამშრომლობის მნიშვნელობასაც და, ამ თვალსაზრისით, მოიწონა ქალბატონი თამარ ბერუჩაშვილის (სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში) იდეა ბათუმში საზაფხულო სკოლის ორგანიზებასთან დაკავშირებით. სკოლა შავი ზღვისპირეთის რეგიონის ქვეყნებს გააერთიანებს. მიმდინარეობს მოლაპარაკება ბათუმის უნივერსიტეტის რექტორთან. ამ მიზნით ბათუმის შემოგარენში მშვენიერი ადგილი შეირჩა. პროექტის „ევროპული სწავლებების ინსტიტუტის“ მესვეურნი ვარაუდობენ, რომ 2008 წლის ივნის-აგვისტოსათვის ბათუმის საზაფხულო სკოლა საერთაშორისო მნიშვნელობის სასწავლო ცენტრად ჩამოყალიბდება.

წიგნი ცოცხალია და კარგად არის!

ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა წიგნების ერთობლივი გამოფენა

14-დან 17 ივნისამდე ექსპო ჯორჯიას საგამოფენო ცენტრის მეთერთმეტე პავილიონში თბილისის წიგნის IX საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა. 15 ივნისს ფესტივალის ფარგლებში ევროკავშირის სპეციალური პროგრამა გაიხსნა: თბილისში მოღვაწე ევროპული ლიტერატურის ორგანიზაციებმა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოებმა ერთობლივად წარმოადგინეს ლიტერატურა ევროპისა და ევროპული მსოფლმხედველობის შესახებ.

მაკა ლდოკონენი

ევროკავშირის პროგრამა გახსნა ევროკომისიის დელეგაციის ელჩმა საქართველოში პერ ეკლუნდმა:

„ევროკომისია თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალში, მართალია, მონაწილეობას მეშვიდედ იღებს, მაგრამ წელს ევროპული წიგნების ერთიანი სტენდის გახსნა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. ამ ფორმით ვცდილობთ, წარმოვაჩინოთ რონობა, ასევე მათი კულტურულ-ლინგვისტური მრავალფეროვნება. დღეს მსოფლიოში უამრავი საინფორმაციო საშუალება არსებობს, მიუხედავად ამისა, წიგნი მაინც რჩება ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ. ეს ფაქტი კი იმაზე მიგვითითებს, რომ წიგნი არ მომკვდარა, ის ცოცხალია, კარგად არის და მისი კითხვა კვლავ სიამოვნებას გვანიჭებს“.

ბატონმა პერ ეკლუნდმა იმედი გამოთქვა, რომ წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე წარმოდგენილ ევროპელ ავტორთა წიგნები ქართველი მკითხველის ინტერესს გამოიწვევს, მის გემოვნებასა და შემოქმედებით სურვილებს დაკმაყოფილებს.

ლიტერატურული პროგრამა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა, ქალბატონმა პატრიცია ფლორმა გახსნა. მან ის დრო გაიხსენა, როდესაც აკრძალული წიგნები არსებობდა და ადამიანებს უფლება არ ჰქონდათ, ისინი შეეძინათ ან საზღვარგარეთ გაეტანათ. „მიხარია, რომ დღეს, თბილისში, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მოვიდეს ამ გამოფენაზე, დაათვალიეროს და შეიძინოს არაჩვეულებრივი წიგნები. ჩვენთვის, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, უმთავრესი ფასეულობა სწორედ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაა. მე ძალიან მიყვარს კითხვა, ახალგაზრდობაში დისკოთეკაზე წასვლას წიგნის კითხვას ვამჯობინებდი ხოლმე. თქვენც გისურვებთ, წიგნების კითხვით დაგეკმაყოფილებინოთ საკუთარი ინტერესები, სანუკვარი სურვილები“, – აღნიშნა ქალბატონმა პატრიცია ფლორმა.

წიგნის IX საერთაშორისო ფესტივალთან დაკავშირებით გამოვიდა გაზეთ „24 საათის“ სპეციალური ლიტერატურული დანართი – „ევროპული ლიტერატურა“. შეკრებილ საზოგადოებას დანართი „24 საათის“ ლიტერატურულმა რედაქტორმა მალხაზ ხარბედიამ წარუდგინა.

„დანართი XXI საუკუნის ევროპულ ლიტერატურას მიეძღვნა. მასში გერმანელი, ბერძენი, ფრანგი, ინგლისელი და ავსტრიელი ავტორებია წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთისგან წერის სტილით განსხვავდებიან. ავტორებს არაერთი ლიტერატურული ჯილდო თუ პრემია აქვთ მიღებული. ლიტერატურული დანართი დაინტერესებულ მკითხველს ევროპაში ლიტერატურის უახლესი ტენდენციების გაცნობის კუთხით დაეხმარება“, – განაცხადა მალხაზ ხარბედიამ.

გამოფენაზე მოსულ სტუმრებს გერმანელმა, ფრანგმა და ავსტრიელმა ავტორებმა საკუთარი წიგნებიდან ნაწყვეტები წაუკითხეს. პრეზენტაციის ფარგლებში გაიმართა ევროკავშირის სასკოლო ვიქტორინა, რომელსაც, ტრადიციულად, ტელეკომპანია „მზე“ ატარებს. მასში 189-ე სკოლიდან ორი გუნდი მონაწილეობდა. ვიქტორინაში მონაწილეებს ევროკომისიის დელეგაციის ელჩმა საქართველოში პერ ეკლუნდმა საჩუქრები გადასცა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში საქართველო ევროკავშირთან თანამშრომლობას გააღრმავებს.

„იქნება... ჩვენ დავიხოცენით“

ძმები რაზიკაშვილების ხელნაწერი მემკვიდრეობის გამოფენა

19-დან 22 ივნისამდე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ძმები რაზიკაშვილების ხელნაწერი მემკვიდრეობისა და ბეჭდური გამოცემების გამოფენა მოეწყო. გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

მაკა ლდოკონენი

ვაჟაობის დღესასწაულის აღსანიშნავად ვაჟა-ფშაველას მუზეუმის ხელმძღვანელობამ, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა გადაწყვიტეს თბილისში მოეწყოთ ღონისძიება, რომელიც დამთვალიერებელს საშუალებას მისცემდა, თვალი გადაევლო ძმები რაზიკაშვილების ბეჭდური თუ ხელნაწერი მემკვიდრეობისთვის. ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა ხელნაწერი ნიმუშები, რომლებიც ბაჩანა (ნიკო), თედო, ლუკა (ვაჟა-ფშაველა) რაზიკაშვილებსა და მათ მამას პავლე მღვდელს ეკუთვნოდა.

გამოფენაზე ძმები რაზიკაშვილების შემოქმედების ამსახველ ძველ თუ თანამედროვე გამოცემებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ვაჟა-ფშაველას უნიკალური ხელნაწერები: „ქებათა ქება“ (1893წ), „სიმღერები“ (1886წ), „ზვიადაური“ (1893წ), „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, პოემა „ბახტრიონის“ პირველი პუბლიკაცია „ივერიის“ 29-ე ნომერში (1892წ); 1913 წლის მიმოწერა: „აკაკის წერილი ვაჟა-ფშაველას“ და „დაგვიანებული პასუხი მხცოვან პოეტ აკაკის“. აქვე იყო გამოფენილი პირადი წერილები: ბაჩანა რაზიკაშვილის მიერ თედო რაზიკაშვილისთვის და სანდრო რაზიკაშვილის მიერ თედოსადმი მიწერილი. ასევე შიო ქუჩუკაშვილის (შიო მღვიმელის) წერილი თედოსადმი, რომელშიც ვაჟას დედაქალაქში ჩამოსვლასა და პოემა „ბახტრიონის“ გაზეთ „ივერიას“ რედაქციაში მიტანის ამბავს ატყობინებს.

ექსპოზიცია საინტერესო იყო უნიკალური ფოტოებითაც. თედო რაზიკაშვილის ოჯახის ფოტოს სამახსოვრო მინაწერიც ახლდა: „24 აპრილი, 1911 წელი. ჩემს ძვირფას ძმას სანდროს ჩვენს მოსაგონრად. იქნება, ძმაო, ჩვენ დავიხოცენით (აბა, ამაში რა ეჭვია?) და ამ სურათით წარმოგვიდგენ ხოლმე. ჯერ კი დიდხანს გვაცოცხლოს ღმერთმა — ეს ოხერი სიცოცხლე ძალიან ტკბილია. შენი ძმა თედო რაზიკაშვილი“.

„შევეცადეთ, ისეთი გარემო შეგვექმნა, რომ რაზიკაშვილების ოჯახის სტუმრად გეგრძნოთ თავი. ამ ადამიანების ერთად წარმოჩენით გვსურდა, ქართული საზოგადოებისათვის შეგვეხსენებინა, რომ ვაჟა — ეს ბუმბერაზი ადამიანი ღმერთმა საოცარ გარემოში მოავლინა. წარმოიდგინეთ, ის ცხოვრობდა ცივილიზაციას აბსოლუტურად მოწყვეტილი სოფლის ერთ პატარა ქოხში. მიუხედავად ამისა, მისი ოჯახის თითოეული წევრი გამოირჩეოდა ნიჭიერებით, განათლებით, არისტოკრატულობით, პატრიოტიზმითა თუ მოქალაქეობრიობით, რაც, უდავოდ, პავლე რაზიკაშვილის დამსახურებაა“, — განაცხადა ვაჟა-ფშაველას მუზეუმის დირექტორმა, ბატონ ბაჩანა რაზიკაშვილის შვილთაშვილმა, ქალბატონმა ლელა რაზიკაშვილმა.

ქალბატონი ლელა თანამედროვე გამოცემების პრობლემებსაც შეეხო:

„XXI საუკუნის გამომცემლებმა, რომლებიც ვაჟა-ფშაველას გამოცემას აპირებენ, უნდა გაითვალისწინონ გასული საუკუნის მემკვიდრეობა, სათანადოდ გაიაზრონ პასუხისმგებლობა იმ მკვლევარებისა თუ გამომცემლების წინაშე, რომლებსაც დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილი წიგნების შექმნაში მიუძღვით წვლილი“.

ქალბატონმა ლელამ განაცხადა, რომ ვაჟა მკითხველს მთელ მსოფლიოში ელოდება: „ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ვაჟას თაყვანისმცემელი, ავტომატურად, ჩვენი ქვეყნის თაყვანისმცემელი ხდება. შეგახსენებთ ფრანგი მსახიობის ალენ დელონის ცნობილ სიტყვებს, რომ იგი ვაჟა-ფშაველამ უმძიმესი დეპრესიისგან იხსნა. ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ ვაჟას შემოქმედებას ძალუძს დაეხმაროს მსოფლიოში მრავალ ადამიანს, რომ მილიონობით უცხოელი დაიგულებს ვაჟას თავის საყვარელ შემოქმედად, როდესაც მას შეიცნობს და გაითავისებს. ჩვენი თაობის უდიდესი ამოცანა ვაჟას შემოქმედების სხვადასხვა ენაზე თარგმნაა და ის ერთად უნდა განახორციელონ მეცნიერებმა, მკვლევარებმა, გამომცემლებმა და ჩვენმა სახელმწიფომ. XXI საუკუნე მთელ მსოფლიოში ელოდება ვაჟა-ფშაველას!“

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სახელით შეკრებილ საზოგადოებას ბუბა კუდავა მიესალმა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ვაჟა-ფშაველას საარქივო ფონდი, რომელიც, დაახლოებით, 300 ერთეულისგან შედგება. ამ ღონისძიებისთვის კი საგანგებოდ მხოლოდ რამდენიმე შეირჩა.

„ეს ხელნაწერები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ვაჟას ხელითაა დაწერილი, არამედ იმის გამოც, რომ მშვენივრად ასახავს ამ გენიოსი ადამიანის შემოქმედებით პროცესს“, — განაცხადა ბუბა კუდავამ.

ვაჟას შემოქმედების სათანადო დონეზე შესწავლის პრობლემატიკას არაერთი სტუმარი შეეხო. აღნიშნეს, რომ მიუხედავად მკვლევართა სიუხვისა, არც ტექსტობრივად და არც შინაარსობრივად ვაჟა-ფშაველა სათანადოდ არ არის შესწავლილი. მწერალმა ზაზა აბზიანიძემ დამსწრე საზოგადოებას ის დრო შეახსენა, როდესაც „ვაჟაობის“ აღსანიშნავად ქართველი საზოგადოება მლეთის ქუჩაზე იკრიბებოდა, იქ, სადაც სანდრო რაზიკაშვილი ცხოვრობდა. თბილისში ჩამოსული ვაჟა მასთან ათენებდა ღამეს. ბატონმა ზაზამ ქართველებს მოუწოდა, არ დაივიწყონ ეს ფაქტი — მლეთის ქუჩა ქართველისთვის ვაჟას სახელთან უნდა ასოცირდებოდეს.

„დოსტოევსკის კლასიკური გამონათქვამია: „მშვენიერებამ იხსნა მსოფლიო“, მე შევცვლიდი ამ დიდი მწერლის გამონათქვამს და სრული პასუხისმგებლობით ვიტყოდი: ვაჟა-ფშაველა იხსნის საქართველოს!“ — განაცხადა ზაზა აბზიანიძემ.

ღონისძიების მეორე ნაწილი ლიტერატურულ-დრამატულ საღამოს დაეთმო. თეატრალიზებულ წარმოდგენაზე ვაჟას მამის — პავლე მღვდლის და მისი ოჯახის ცხოვრების ეპიზოდები გააცოცხლეს. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მსახიობებმა: გუჯა ბურდულმა, ზაზა მიქაშავიძემ, ზურა გეწაძემ, გეგი ფალიანმა, ფატი თურმანიძემ და ნინო წეროძემ. საღამო კომპოზიტორმა მერაბ მამულაშვილმა ამ დღისთვის საგანგებოდ შექმნილი მუსიკით გააფორმა. საღამოს ორგანიზატორი გახლდათ რეჟისორი რუსა შაიშმელაშვილი.

ღონისძიების მესვეურებმა იმედი გამოთქვეს, რომ ძმები რაზიკაშვილების ხელნაწერი მემკვიდრეობისა და ბეჭდური გამოცემების გამოფენა ერთგვარ სტიმულად იქცევა, რათა საგამომცემლო საქმე გაფართოვდეს და XXI საუკუნეში ვაჟა მსოფლიოს გადასწვდეს.

ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი...

პროგრამა — „საზაფხულო სამუშაოები სტუდენტებისთვის — 2007“

შურთხია გეროშვილი

სტუდენტური დასაქმების პროგრამა თბილისის მერიის მიერ განხორციელებული ერთერთი ყველაზე პოპულარული და წარმატებული პროექტია. პროგრამა პირველად შარშან განხორციელდა. პროექტის ორგანიზატორთა განცხადებით, ახალგაზრდებში შრომის და დისციპლინის უნარ-ჩვევების გამომუშავება დედაქალაქის მთავრობის ერთერთი პრიორიტეტია.

წელს მერია სტუდენტებს უფრო მომზადებული დახვდა. მთავარი სიახლე რეგისტრაციის ახალი — ონლაინ ფორმაა. 2500-მა სტუდენტმა სახლიდან გაუსვლელად შეძლო პროგრამაში ჩართვა და დარეგისტრირება. ვებ გვერდის — Tbilisi.cov.ge-ს პატარა კაცუნამ უარის ნიშნად ხელი ერთ საათში გააქნია, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ რეგისტრაცია დასრულდა. ათასობით სტუდენტმა პროგრამაში ჩართვა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, გრძელი რიგები, გაუგებრობა და ზედმეტი კითხვები არ ყოფილა.

თბილისის მერიის მიერ გამოყენებული ინტერნეტ-მომსახურების ახალი სისტემა საქართველოში პირველი და უპრეცედენტოა. თანამედროვე მსოფლიოში აპრობირებული მეთოდის ქართულ რეალობაში გადმოტანამ, როგორც ჩანს, გაამართლა.

პროგრამის — „საზაფხულო სამუშაოები სტუდენტებისთვის-2007“, — პრეზენტაცია დედაქალაქის მერიაში გაიმართა. სტუდენტებს თბილისის მერმა გიგი უგულავამ მიმართა: „თქვენ გელით განსხვავებული, მრავალფეროვანი და სიახლეებით დატვირთული ზაფხული. შეიტანეთ თქვენი წვლილი დედაქალაქის მოწყობაში, დასუფთავებაში, მშენებლობაში და საკუთარი ფინანსებით გაატარეთ ზაფხულის ცხელი დღეები ლამაზად და ხალისიანად“. მისი თქმით, სტუდენტები ყველა განვითარებულ ქვეყანაში მუშაობენ. ქართველი სტუდენტები ნიჭითა და შრომისუნარიანობით არავისზე ნაკლები არ არიან.

„დროა, თბილისელმა სტუდენტებმა შეიგნონ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათ შრომას, ისინი აქედანვე უნდა მიეჩვევნონ დამოუკიდებლობას“ — აღნიშნა პრეზენტაციაზე გიგი უგულავამ.

სპეციალურ ყვითელ მაისურებსა და პანამებში გამოწყობილი სტუდენტები მთელი ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა სამუშაოს შეასრულებენ. წელს დასაქმების პროგრამაში მონაწილეობა მიიღო თბილისის ყველა აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტმა. ახალგაზრდები გადანაწილდნენ როგორც მუნიციპალურ საწარმოებში, ასევე კერძო სექტორში. ქალაქ თბილისის მერიის ვებ გვერდზე სტუდენტური დასაქმების პროგრამის სპეციალური „ფანჯარაა“ გახსნილი, სადაც დაინტერესებულ პირებს პროგრამის მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვება შეუძლიათ. როგორც ცნობილია, სტუდენტები დედაქალაქის ხუთ რაიონში გადანაწილდნენ. შრომითი ზაფხული ერთ თვეს გასტანს. ახალგაზრდების შრომა მათთვის საკმაოდ სოლიდური თანხით — 300 ლარით ანაზღაურდება.

2500 სტუდენტი საქმეს უკვე შეუდგა. იმედია, ეს პროგრამა მომავალში უფრო ფართომასშტაბიანი გახდება და უფრო მეტი სტუდენტისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

გარდამავალი თასი ერთი წლით „სოხუმთან“ იქნება

სტუდენტური თვითმმართველობის თასის წლევანდელ გათამაშებაში უნივერსიტეტის ფეხბურთელთა 64 გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით გაიმართა. 12 ივნისს ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის „სოხუმი“ და იურიდიული ფაკულტეტის „ფარმაზონები".

მომავალმა იურისტებმა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს წინააღმდეგობა მეტოქეს, მეორე ნახევარში კი ჰუმანიტართა შეტევებს ვერ გაუძლეს და დიდი ანგარიშით 8:1 დამარცხდნენ.

გამარჯვებულებს გარდამავალი თასი გადასცეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა გიორგი ავალიანმა და სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ხარჯავანიძემ.

ასპარეზობის ბომბარდირის პრიზი გადაეცა „სოხუმის“ გუნდის თავდამსხმელს ვიტალი გადელიას, საუკეთესო მეკარის — მის თანაგუნდელ ამირან ლობჟანიძეს, საუკეთესო დამცველის — „სოხუმის“ კაპიტანს მიშა მესხს, საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა „ფარმაზონების“ თავმდამსხმელი გიგი მუმლაძე.

მოსწავლეთა პირველი ჩემპიონატი

20-21 ივნისს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ინიციატივით გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა პირველი ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში — „რა? სად? როდის?“ ტურნირში თბილისისა და ქუთაისის სკოლების 200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

ფინალში მოასპარეზე 17 გუნდიდან პირველი ადგილი დაიკავა და გარდამავალი თასი გადაეცა თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს. მეორე ადგილზე გავიდნენ 111-ე, ხოლო მესამე ადგილზე - 106-ე სკოლელები.

ასპარეზობის სანიმუშოდ წარმართვისათვის მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს შეჯიბრების ორგანიზატორებს - თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მესვეურთ.

რა... სად... როდის...

კანადის ერთერთ კლინიკაში ორმოცდაორი წლის მამაკაცს ფეხების სისხლძარღვთა ოპერაციას უკეთებდნენ. წარმოიდგინეთ ექიმების გაოცება, როდესაც მას არტერიაში კათეტერის შეყვანის დროს ვენიდან მუქი მწვანე სისხლი წამოუვიდა. გაოგნებულმა ექიმებმა წინასწარ აღებული ანალიზები გადაათვალიერეს, პაციენტს ყველაფერი აბსოლუტურად ნორმაში აღმოაჩნდა. შემდეგ ოპერაცია წარმატებით დაასრულეს და ანომალიის შესწავლას შეუდგნენ. როგორც გაირკვა, ავადმყოფს დიდი ხნის მანძილზე შაკიკი აწუხებდა და სისტემატურად იღებდა პრეპარატს, რომელიც სულფალიმანიდებს ჭარბად შეიცავდა. ხოლო, როცა გოგირდის ატომი გემოგლობინის მოლეკულაში ხვდება, სწორედ ასეთი ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს. შეშფოთებულ ექიმებს არ დაუკონკრეტებიათ, მოახერხეს თუ არა პაციენტის სისხლის გაწითლება.

ინტერნეტ-გიგანტი Google კიდევ ერთხელ გახდა სკანდალის მიზეზი. ამჯერად მას პირადი ცხოვრების დაცვის კანონის დარღვევაში ადანაშაულებენ. ევროპელი ადვოკატების ჯგუფმა Google-ის ადმინისტრაციას წერილობითი გაფრთხილება გაუგზავნა. მათ აინტერესებდათ რისთვის ინახავდა გიგანტური საძიებო სისტემა მომხმარებელთა შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას და მათი მოთხოვნების სიას. ჩინოვნიკებს ისიც აინტერესებდათ, მონაცემთა ეს ბაზები რამდენად დაცული იყო. Google-მა პასუხად აცნობა, რომ თუ ადრე მონაცემები სერვერზე განუსაზღვრელი ვადით ინახებოდა, ახლა ეს ვადა 18-24 თვემდე შემცირდა. ადვოკატები ამ პასუხმა არ დაკმაყოფილა და განაცხადეს ევროსასამართლოს მივმართავთო, მაშინ Google-მა მათ მოლაპარაკება შესთავაზა და განაცხადა: – დარწმუნებული ვართ, ადვოკატებისგან ბევრ სასარგებლო რჩევას მივიღებთო.

ავსტრალიის სამმა სპეციალისტმა შინაური ცხოველებისთვის ვირტუალური ღობე შექმნა. ეს სიახლე მარტივ პრინციპზეა აგებული. თავდაპირველად ფერმერი კომპიუტერს, თანამგზავრული ნავიგაციის საშუალებით, შემოღობილი ტერიტორიის კოორდინატებს აწვდის. შემდეგ ძროხებსა და ცხვრებს ყელზე ელექტრონულ ყელსაბამს უკეთებს. როგორც კი ცხოველი ვირტუალურ ღობეს 1-2 მეტრით უახლოვდება, „ყელსაბამი“ გამაფრთხილებელ სიგნალს გამოსცემს. თუ ცხოველი სიგნალს ყურადღებას არ მიაქცევს და ვირტუალურ ღობეს გადალახავს, მოწყობილობა მას უვნებელი, მაგრამ საკმაოდ მტკივნეული დარტყმით „დაასაჩუქრებს“. ცდებმა გამოავლინა, რომ ახალ წესრიგს ძროხებმა ზუსტად ერთ საათში აუღეს ალღო. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ პრობლემები არც ცხვრებთან შეექმნებათ.

USA TODAY-მ გამოაქვეყნა იმ აღმოჩენებისა და გამოგონებების სია, რომელმაც ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე ჩვენი ცხოვრება მკვეთრად შეცვალა.

- მობილური ტელეფონები – პირველი დამოუკიდებელი მობილური ტელეფონი motorola-მ გამოუშვა და იგი თითქმის ერთ კილოგრამს იწონიდა.
- ნოუთბუქები – როგორც კი პორტატული კომპიუტერი გამოჩნდა, ერთ წელიწადში 53000 გაიყიდა, თუმცა მისი ფასი თავდაპირველად ძალიან მაღალი იყო.
- პეიჯერები – რომელმაც ადამიანთა ყურადღების კონცენტრაციის საშუალო დრო ძალიან შეამცირა.
- სადებეტო ბარათები – რომელმაც ნაღდი ფულის ბრუნვა შეამცირა.
- ტელეფონის ნომრის ამომცნობი, ავტო-მოპასუხესთან ერთად – ამ გამოგონებამ ადამიანები აბეზარი საზოგადოებისგან გაათავისუფლა.
- DVD – ციფრული ვიდეო-დისკის გამოჩენით, ფირის დაუსრულებელ გადახვევაზე დახარჯული დროის ეკონომიის საშუალება გაჩნდა.
- iPOD – ლეგენდარული პორტატული პლეერი, რომლის წყალობითაც ადამიანებმა ქუჩაში სხვაგვარად დაიწყეს სიარული.
- აკუმულატორული ბატარეები – რომელმაც ახალი ტექნოლოგიების არეალი გააფართოვა.
- ავტომატური ბენზინ-გასამართი სადგური – ისევე, როგორც ბანკომატმა, მომსახურების დრო შეამცირა.
- სალათი პორციული პაკეტით – ამ პროდუქტის გამოჩენამ კომერციის ახალი ფორმა, პორციებად დაფასოებული სურსათით ვაჭრობა წარმოშვა.
- ციფრული ფოტოაპარატი – რომელმაც ფოტოგრაფირების და ბეჭდვის პროცესი ძალიან გაამარტივა და ყველასთვს ხელმისაწვდომი გახადა.
- დოპლერული რადიოლოკატორი – მას შემდეგ, რაც დოპლერულმა რადიოლოკატორმა ამინდის პროგნოზის ტელეტრანსლაცია რეალური დროის რეჟიმში დაიწყო, საზოგადოება ამინდის პროგნოზის ფანატიკოსად გადაიქცა.
- ბრტყელეკრანიანი ტელევიზორები – ციფრულ ტელევიზორთა 68% უკვე ბრტყელ ეკრანიანია.
- მაღალტექნოლოგიური ფეხსაცმელი – ბოტასების გამოჩენამ, ჩვეული სპორტული ფეხსაცმელი ბაზრიდან გააძევა.
- ინტერნეტ-ბირჟა – ადამიანები ძვირად ანაზღაურებადი ბროკერების მომსახურებისაგან გაათავისუფლა.
- ერთჯერადი კონტაქტური ლინზები – მისი წყალობით ადამიანებს ძვირადღირებული ლინზების დამსხვრევის აღარ ეშინიათ.
- ციფრული ტელევიზია – ტელემაყურებელს არჩევანის საშუალება მისცა.
- საოჯახო თანამგზავრული ტელევიზია – ანტენა-თეფშის გამოჩენამ, ეს არჩევანი კიდევ უფრო გააფართოვა.
- კარაოკე – ახალი ინტელექტუალური გასართობი წარმოიშვა.
- ჰიგიენის საშუალება Purell – სითხით გაჟღენთილი ხელსაწმენდების გამოჩენამ, ამ სფეროში გადატრიალება მოახდინა.
- ელექტრონული ანაზღაურება – სათავე დაუდო ახალ, ელექტრონულ კომერციას.

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ თავის ქალის მძიმე ტრავმის დროს, მისი 32-33 გრადუსამდე გაგრილება ფატალურ დასასრულს ცხრამეტი პროცენტით, ინვალიდობას კი ოცდაორი პროცენტით ამცირებს. ამისთვის მათ 1069 პაციენტის ავადმყოფობის ისტორია შეისწავლეს. ტრავმები ძირითადად გამოწვეული იყო ავტოკატასტროფებით, უბედური შემთხვევებით ან სპორტული შეჯიბრებების დროს. ტემპერატურის დასაწევად სპეციალური თერმული პლედი და ყინული გამოიყენეს. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ჰიპოთერაპია ნივთიერებათა მიმოქცევის პროცესს ანელებს და ამით ტვინის ფუნქციონალურ დატვირთვას ამცირებს.

გერმანიაში „პირატთა პარტია“ დაფუძნდა. იგი შვედეთის ამავე სახელწოდების პარტიის ანალოგითაა შექმნილი. „პირატები“ ცოდნის თავისუფლებას და ამ თვალსაზრისით სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას ითხოვენ. მათ მიაჩნიათ, რომ საავტორო უფლებების და პატენტების ვადები უნდა შემცირდეს და ინფორმაცია, განსაკუთრებით გენური ინჟინერიის სფეროში, თავისუფლად უნდა გავრცელდეს. გარდა ამისა, თავისუფლად უნდა იხსნებოდეს და ასლის გადაღების საშუალებას იძლეოდეს იმ გამოკვლევათა საიტები, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. „პირატთა პარტია“ 2009 წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.

უნივერსიტეტის გაზეთის ჟურნალისტი „PEN-მარათონში“ მონაწილეობს

28 ივნისს წინანდალში ლიტერატურული კონკურსი „PEN-მარათონი – 2007“ გაიხსნა. კონკურსში გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჟურნალისტი მაკა ლდოკონენიც მონაწილეობს, რომლის მოთხრობამაც – „აქა ცხოვრობს ლალო“ – მოწონება დაიმსახურა და ის 26 მონაწილესთან ერთად კონკურსის ფინალში გავიდა.

კონკურსის ორგანიზატორები არიან გამომცემლობა „დიოგენე“ და მობილურის კონტენტ-პროვაიდერი „ჯეოლაინი". „PEN-მარათონი – 2007“ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა.

კონკურსის პირველი პრემია – 3 000 ლარი „ჯეოლაინმა“ დააწესა. მეორე პრემიას – 1 500 ლარი და მესამე პრემიას – 1 000 ლარი გამარჯვებულებს კონკურსის სპონსორები გადასცემენ.

ფულადი პრემიის გარდა, კონკურსის გამარჯვებულს პრიზი – „ვერცხლის დიოგენე“ გადაეცემა. წარმატებული ავტორის წიგნის გამოცემას „ქართული შაქარი“ უზრუნველყოფს.



რედაქციისაგან

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ სასწავლო წლის დაწყებამდე აღარ გამოვა. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები, წინადადებები – როგორი წარმოგიდგენიათ უნივერსიტეტის გაზეთი, რომელიც, პირველ რიგში, თქვენი გაზეთი უნდა იყოს!

მომავალ შეხვედრამდე!

რედაქტორი	ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი	გივი შეყილაძე
სტილისტი, კორექტორი	მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ.1
) 22 10 34
www.tsu.ge
@ newspaper@tsu.ge